ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 20 ნოემბერი, 2023 | №228 (9264) | ფასი: 80 თეთრი





გვ.3,8

**„არ იცის, ეს პიროვნება ვინ არის, არც ნანახი ჰყავს“ — კოსტა სანიკიძის დაჭრის ახალი დეტალები**

# „სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილთან გამიჯვნა-დაპირისპირება გააფორმა!“



გვ.2

დავით ბერძენიშვილი: „დღეს პატარა პარტიების დიდი გაერთიანებაა წამალი... მე შევთავაზებდი ასეთ გაერთიანებას, რომ სახელად დაირქვან „პირველი ქალა“



**„ვინ მოიაზრებიან შუაშისტებად?!“**

„ვიყოთ ობიექტურები, სალომეს შეწყალება, მიშას ვერ გაათავისუფლებს!“

## პრეზიდენტთან დაპირისპირება, ინციდენტი პარლამენტში და რეიტინგები

გვ.4



გვ.3

## „ქართული ოცნება“ ძალაუფლების გაყოფისთვის მზად არ არის“

ლევან ალაფიშვილი: „რუსთაველის გადათხრა არ არის რეფორმები და რეალური ცვლილებები“



გვ.3

ჯემალ გამახარია: „თუ აფხაზეთში რაღაც პრობლემაა და მოგვმართავენ, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვიხილოთ და, შესაძლებლობის ფარგლებში, დავეხმაროთ“

## „რუსულ ხაზინას უჭირს“

ამბები აფხაზეთის ომიდან გვ.5

## „რუსულმა თვითმფრინავებმა ცაში გადმოკიდეს ეგრეთ წოდებული „ლუსტრები“



## სამთავრობო კომისიის სხდომაზე მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობის პროექტი დაამტკიცეს



გვ.2

2 ვახტანგ მეგრელიშვილი: „პარლამენტში ექსკურსიაზე მოჰყავთ ბავშვები და ანახებენ საგიჟეთს“

5 კენჭოვანი დაავადების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

7 ლევან მჭედლიძემ კარიერა დაასრულა

6 თეთრი სახლი ილონ მასკის წინააღმდეგ

# „სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილთან გამიჯვნა-დაპირისპირება გააფორმა!“

## დავით ბერძენიშვილი: „დღეს პატარა პარტიების დიდი გაერთიანებაა წამალი... მე შევთავაზებდი ასეთ გაერთიანებას, რომ სახელად დაირქვან „პირველი ძალა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

***– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე? როგორც იქნა, შეძლო და ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქი უწოდა. ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ზურაბიშვილი ივანიშვილის კომპლექსისგან გათავისუფლდა. რას იტყვით თქვენ? რატომ მაინცდამაინც ახლა? სად იყო აქამდე ქალბატონი პრეზიდენტი?***

– პოლიტიკაში უმცროსი პარტნიორები უფროს პარტნიორს, ზოგი ორ-სამ თვეში ემიჯნება და უპირისპირდება, ზოგი ორ-სამ წელიწადში და ზოგს ხუთი-ექვსი წელი სჭირდება. ყველა შესაბამისი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ. ედუარდ შევარდნაძის პარტიაში 1995 წელს მიხეილ სააკაშვილი შევიდა და არ მგონია, პირველ წლებში ვერ ხედავდა იმ მინუსებს, რაც შევარდნაძე-აბაშიძის ხელისუფლებას ახლდა, მაგრამ დაახლოებით, 6 წლის თავზე ჩათვალა საჭიროდ, რომ მოვიდა დრო, პოლიტიკურად შევარდნაძისაგან გათავისუფლების. რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები 2011 წლის შემოდგომიდან ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურ გაერთიანებაში წამყვანი სუბიექტები ვიყავით. სადღაც 2014-ის ზაფხულში სრულიად მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ამოიწურა ბიძინა ივანიშვილის პოზიტივი, თუმცა, რესპუბლიკელების ერთი ნახევარი ვფიქრობდით ოპოზიციაში წასვლას, მეორე ნახევარი არ ფიქრობდა და კიდევ წელიწად-ნახევარი გაგვეწელა ივანიშვილთან ყოფნა.

***– ანუ ახლა მომწიფდა ივანიშვილისა და სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური განქორწინების დრო?***

– ამ ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩვეულებრივ, პოლიტიკაში ასეთი რამეები ხდება. არც ის დავივიწყოთ, რომ გინდ მიშასაგან და გინდ რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, სალომე ძალიან იყო ივანიშვილისგან დავალებული.

***– სრული ისტერიკა მოაწყვეს „ოცნების“ ლიდერებმა. ეს როგორ იკადრა სალომე ზურაბიშვილმა, ბიძინას როგორ უწოდა ოლიგარქიო.***

– სრულიად ნათელი იყო, რომ შარლ მიშელის პროცესის დროიდან მოყოლებული, სალომე ზურაბიშვილის დისტანცირება „ქართული ოცნებიდან“ დაიწყო და ეს აუცილებლად მივიდოდა მის ლოგიკურ დასასრულამდე. მან ასე ამჯობინა, დიდ ფრანგულ გაზეთში, მის ყველაზე უფრო მშობლიურ ენაზე მისცა ინტერვიუ და იქედან, ევროპით ზურგმომაგრებულმა უთხრა ბიძინას ის, რაც ეტყობა, ორი წელიწადი აწუხებდა და უნდოდა ეთქვა. თავისთავად, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

***– თავადვე ბრძანეთ, სალომე ზურაბიშვილი ძალიან დავალებული იყო ბიძინა ივანიშვილისგანო და რამდენად კარგად გამოიყურება ეს ყველაფერი?***

– ესეც პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ეს არ ნიშნავს ყმობას. ბიძინას ესმის პოლიტიკა ასე და ცხოვრებაც ასე. ბიძინასთვის ადამიანები იყოფიან მხოლოდ ორ კატეგორიად – მის ქვეშევრდომებად და მის მტრებად. ვინც მისი ქვეშევრდომი არ

### „ვიყოთ ობიექტურები, სალომეს შეწყალება, მიშას ვერ გაათავისუფლებს!“

### „ვინ მოიაზრებიან შუაშისტებად?!“

არის, ის მტერია. ბიძინამ მეგობრობა არ იცის. მან იცის პატრონ-ყმური ურთიერთობები. ამიტომ ახლა ვინც ბიძინასთან არის, უნდა ეყმოს ბოლომდე და ასეც იქცევიან. ბიძინას გარემოცვაში თავისუფლების მინიმალური ხარისხის მატარებელი ადამიანიც კი არ დარჩა არავინ. სალომე ზურაბიშვილი დისტანცირებული იყო და ახლა ჩათვალა, რომ ეს ბოლო ხაზიც გაეწყვიტა, რომ ვინმეს რამე არ დაებრალებინა. სალომე იყო იმ მდგომარეობაში, რომ არ ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობები, თან ბიძინას შეკვეთით იმპიჩმენტი დაუპირეს. შესაძლოა, სალომე ცოტა გვიან მიხვდა იმას, რასაც უნდა მიმხვდარიყო ადრევე, მაგრამ ასეა თუ ისე, 2021-ის გაზაფხულიდან დაწყებული პროცესი, ორ წელიწადნახევრის თავზე დამთავრდა ამ ხელისუფლებასთან გამიჯვნა-დაპირისპირების ფინალით. ანუ ბიძინასგანაც გამიჯვნა-დაპირისპირების დეკლარირებით.

***– ბიძინა ივანიშვილისთვის და „ქართული ოცნებისთვის“ ალბათ ეს იყო წითელი ხაზი. რა იქნება ახლა?***

– რა იქნება? ვერაფერს უზამენ, ერთი წელი სალომე ზურაბიშვილი იქნება პრეზიდენტი. საპარლამენტო არჩევნების დროს, ის ჯერ კიდევ პრეზიდენტი იქნება. ეს კარგია ქვეყნისთვის. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ქვეყანას სამი უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირიდან, ესაა პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, ერთი ნამდვილად ჰყავს ევროინტეგრაციის მოსურნე. ხოლო დანარჩენი ორი – ბიძინას ქვეშევრდომები არიან, რომლებიც არ დგამენ ნაბიჯებს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, მოეთხოვება ოპოზიციას, რომ აიძულოს ხელისუფლება იმ 9 პუნქტის შესრულებისთვის დიალოგი წამოიწყოს. ანუ დიალოგში უნდა ჩაითრიოს ოპოზიციამ ხელისუფლება.

***– ბატონო დავით, ვიდრე ოპოზიციურ ფლანგზე გადავინაცვლებდეთ, რას იტყვით, შეიწყალებს სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს? ახლა ამას ელიან მისგან.***

– ყველას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი შემოაქვს და სალომე ზურაბიშვილის დამოუკიდებლობის ხარისხი არ იზომება იმით, მიშას შეიწყალებს თუ არ შეიწყალებს. აქ მე ვარ ძალიან კატეგორიული! მისი გადასაწყვეტია, უნდა შეიწყალებს, უნდა არ შეიწყალებს! ეს ერთი და მეორეც, სალომე ზურაბიშვილის მიერ მიშა სააკაშვილის შეწყალებას, არ მოჰყვება სააკაშვილის გათავისუფლება. ეს ხელისუფლებამ კარგად იცის. მათ დატოვებული აქვთ ერთ-ერთი მიმდინარე საქმე, სადაც მიშას არა აქვს მისჯილი. ეს სპეციალურად აქვთ დატოვებული, სალომემ რომ შეიწყალოს მიშა, უკვე მისჯილ საქმეზე, სააკაშვილის პატიმრობა მაინც გაგრძელდება, რადგან ძიება მიმდინარეობს სხვა საქმით. ასე რომ, ვიყოთ ობიექტურები, სალომეს შეწყალება მიშას ვერ გაათავისუფლებს! სალომეს დამოუკიდებლობა ამ ხელისუფლებისგან, ბიძინასგან დამოუკიდებლობის ჩათვლით, საბოლოოდ წერტილდასმულია, ძახილის ნიშან დასმულია, სწორედ ამ ინტერვიუთი!

***– ბევრი მაინც შეთქმულების თეორიებს ხედავს და მაინც ჰგონია, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის თამაშია.***

– შეცდომაში გაჯიუტებას ჰქვია სიბრიყვეო, ამბობდნენ ძველი რომაელები. საერთოდ ბევრს მოსვლია ეს შეცდომა და იმედია, მართლა არ გაჯიუტდებიან. ბევრ კარგ ადამიანსაც მოსვლია ეს შეცდომა, ლამის ტესტად რომ უყურებდნენ, აი მიშას თუ შეიწყალებს, მაშინ ბიძინასგან დამოუკიდებელია, თუ არ შეიწყალებს, არაა დამოუკიდებელი. სალომემ მოძებნა აგერ მესამე გზა, ბიძინა ივანიშვილსაც ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან უთხრა სათქმელი და მიშას შეწყალებაზეც ჯერ არაფერს ამბობს.

***– ბატონო დავით, საუბრისას ოპოზიცია ახსენეთ და გასულ კვირას სამი განსხვავებული სოციოლოგიური კვლევა ვიხილეთ. ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება გასაგებია, მაგრამ ძალიან სავალალო მდგომარეობაშია ოპოზიცია. რას იტყვით თქვენ?***

– არ არის სავალალო მდგომარეობაში. უბრალოდ სერიოზული ამოცანის წინაშე დგას. „გორბის“ კვლევები, ეს კვლევები არ არის, ეს არის პროპაგანდა, ეს დადასტურებულია. ამიტომ „გორბი“ გამოვრიცხოთ. რაც შეეხება ორ სხვა კვლევას, „აირაის“ და „ედისონ რისერჩის“ კვლევას, ამათ შორის არსებითი ხასიათის კვლევა არ არის. ისეთი განცდა შეიქმნა, რომ „ედისონ რისერჩის“ კვლევა, რომელიც „ფორმულას“ დაკვეთით იყო, არის ალოკაცია. ადრე აქვეყნებდა ნედლ რიცხვებს და მე მიკვირს, ახლა რატომ არ გამოაქვეყნა ნედლი რიცხვები. რაღაცა გაუგებრობა რომ არ იყოს, უნდა გამოაქვეყნონ ნედლი რიცხვებიც. რასაც მივიღებთ ნედლი რიცხვების შემთხვევაში, „აირაის“ კვლევა და „ედისონ რისერჩის“, მაღალი ალბათობით, თითქმის ერთი და იგივე იქნება. თითქმის ერთი და იგივე დროს ჩატარებული კვლევის შედეგები, ერთმანეთისგან მკვეთრად აცდენილი ვერ იქნება.

***– ეს კვლევები ეუბნება თუ არა ოპოზიციას, რომ საჭიროა გამსხვილება?***

– ამ კვლევებმა ოპოზიციას ცივი შხაპი გადაასხა. განსაკუთრებით „აირაის“ კვლევებმა. ეს კვლევები ოპოზიციას ეუბნება იმას, რასაც მე ვლაპარაკობ ამდენი ხანია. კმაყოფილი ვარ, რომ ეს თემა ახლა ატაცებულია ოპოზიციურ სპექტრში, რადგან მე წამოვიწყე ეს თემა, რომ პატარა პარტიების დიდი გაერთიანებაა წამალი. საკმარისია, რომ რომელიმე ერთმა, ორმა, სამმა პატარა პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას და ვერ გადალახავს 5%-იან ბარიერს, დაკარგოს ხმები, ეს საკმარისია იმისთვის, რომ „ოცნება“ დარჩეს ხელისუფლებაში. ხელისუფლების წინააღმდეგ პატარა პარტიებისთვის მიცემული ხმა, იქცევა სახელისუფლებლო მანდატად. მოკლედ, წამალი შექმნილ ვითარებაში და ერთადერთი გამოსავალი არის პატარა პარტიების დიდი გაერთიანება, რომელიც იქნებოდა არა მესამე ძალა, არამედ პირველი ძალა. მე საერთოდ შევთავაზებდი ასეთ გაერთიანებას, რომ სახელად დაირქვან „პირველი ძალა“.

***– პრეზიდენტს თუ ვიხილავთ ამ გაერთიანებული ძალის სათავეში?***

– არ ვიცი. ეს მისი გადასაწყვეტია. მე მგონია, რომ პრეზიდენტმა პრეზიდენტობის ვადა, სჯობს, რომ პრეზიდენტის სტატუსით დაამთავროს. როგორც მთავარსარდალი და უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი, სჯობს საარჩევნოდ იყოს თავის პოსტზე. თუკი შეიქმნება ასეთი დიდი შუაშისტური გაერთიანება, სალომე ზურაბიშვილი ისედაც ამ გაერთიანების მხარდამჭერი იქნება. ხომ გასაგებია ისედაც, რომ მიშას და მისი პარტიის მხარდამჭერი არ იქნება.

***– ვინ იგულისხმება შუაშისტურ ძალაში?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სამთავრობო კომისიის სხდომაზე მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობის პროექტი დაამტკიცეს



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, მდინარე იორდანეზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად შექმნილი სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობის პროექტი დაამტკიცეს.

კომისიის წევრებმა პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებისგან წინა სხდომიდან დღემდე განხორციელებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინეს და ცენტრის მშენებლობისთვის განსახორციელებელი შემდგომი ღონისძიებები დაგეგმეს. აღინიშნა, რომ მიმდინარეობს სამშენებლო კომპანიის შერჩევა. მთავრობის მეთაურმა მინისტრებს კონკრეტული დავალებები მისცა.

• • •

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში ევროინტეგრაციის კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე იმსჯელეს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით რეკომენდაციაზე. ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ქვეყანა გააგრძელებს რეფორმებს.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იყო ყველა ის უწყება, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ აღნიშნული რეფორმების განხორციელებაში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს რეკომენდაციების შესრულებაზე და ამ პროცესში სხვადასხვა უწყების კოორდინირებულ მუშაობაზე.

შეხვედრაზე განიხილეს მომავალი წლის დღის წესრიგი, ასევე – თუ როგორ უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები იმისთვის, რომ საქართველომ განაგრძოს რეფორმების იმპლემენტაცია.

# ვახტანგ მეგრელიშვილი: „პარლამენტში ექსკურსიაზე მოჰყავთ ბავშვები და ანახებენ საგიჟეთს“

– პარლამენტში ბავშვები რომ მოჰყავთ, ზოოპარკში გონიათ თავი – სულ მიკვირს, რას აყურებინებენ? როგორ შეიძლება იქ ბავშვების ტარება. ჩვეულებრივი ზოოპარკია. ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, – ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ვახტანგ მეგრელიშვილმა პარლამენტში ბოლო დროს მომხდარ დაპირისპირებებზე საუბრისას განაცხადა.

– პარლამენტის ფუნქციის შემსრულებელი ადამიანები, პოლიტიკოსები იქ არ არიან. კონსტრუქციული თანამშრომლობა კი არა, კონსტრუქციული ოპონირება იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რაღაც როლს ასრულებს, ადამიანური ზღვარი არსებობს, არ შეიძლება, რომ ქალს შეაგინო... არსებობს რაღაცები, რაც არ შეიძლება გააკეთო. ასეთი ზღვარის გადალახვის შემთხვევა იყო დღეს. ჩემი აზრით, ეს არის სიმპტომი იმისი, რაც ხდება პარლამენტში.

ხომ შეიძლებოდა იუსტიციის მინისტრთან დაკავშირებული მწვავე დებატები გაგვემართა? ან გაგვეკრიტიკებინა და ეპითეტებით შეგვემკო, რომელიც არ იქნებოდა ქუჩური, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

მისივე შეფასებით, იქამდე დავიდა საქმე, დეპუტატებს უფრო მნიშვნელოვანი თემა არ აქვთ საჩხუბრად.

– პარლამენტში ბავშვები რომ მოჰყავთ, ზოოპარკში გონიათ თავი. ექსკურსიაზე მოჰყავთ ბავშვები და ანახებენ საგიჟეთს, რომელიც პარლამენტში მიმდინარეობს. შემოჰყავთ ბავშვები და აყურებინებენ. სულ მიკვირს, რას აყურებინებენ? როგორ შეიძლება იქ ბავშვების ტარება. ჩვეულებრივი ზოოპარკია. ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. თან ეს ყველაფერი რომ ხელოვნურია, როგორც კი ეს კონფლიქტი ჩაწყნარდება, არავის ახსოვს, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## „არ იცის, ეს პიროვნება ვინ არის, არც ნანახი ჰყავს“ — კოსტა სანიკიძის დაჭრის ახალი დეტალები

კოსტა სანიკიძის მეგობრების ინფორმაციით, დაჭრის ფაქტს სანიკიძის დედა შეესწრო და დანაშაული სახლის ეზოში მოხდა. მეგობრების ცნობითვე, ამჟამად სანიკიძის მდგომარეობა სტაბილურია და გონს



მოვიდა. იქამდე კი მას ოპერაცია ჩაუტარდა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება.

ვინაა დამნაშავე და რა მოტივით დაჭრეს ის, უცნობია, თუმცა, მეგობრების ცნობით, ამავე ადამიანმა რამდენიმე დღის წინ სანიკიძეს ჩასაფრება მოუწყო:

– საერთოდ არავინ იცის, ეს პიროვნება ვინ არის, არც ნანახი ჰყავს, არც თვითონ იცის, ვინ არის. განმეორებითი შემთხვევა მოხდა, როგორც იცით. ერთი კვირის წინაც ანალოგიური შემთხვევა იყო, თუმცა, ამ ყველაფერს რეაგირება არ მოჰყოლია, – ამბობს სანიკიძის მეგობარი.

– ბებიას არ აქვს არანაირი ინფორმაცია. დედა შეესწრო ამ ფაქტს, კოსტას ეზოში მოხდა ეს ყველაფერი, – ამბობს სანიკიძის კიდევ ერთი მეგობარი.

მომღერალი კოსტა სანიკიძე საკუთარ სახლში დღეს, ცივი იარაღით დაჭრეს. მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს, დაკავებულია ერთი პირი. პოლიციას დაჭრილი სანიკიძე ჯერ არ გამოუკითხავს.

## დაკავებულია ოთხი პირი, რომელიც გურიის სატყეო სამსახურის თანამშრომელს ფიზიკურად გაუსწორდა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის სატყეო უბანზე, ბრაკონიერებს, ხე-ტყის უკანონო ჭრის ალკვეთის მიზნით, წინააღმდეგობა გაუწია ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის ტყის მცველმა თემურ მგალობლიშვილმა. ბრაკონიერთა ჯგუფი ტყის მცველს ფიზიკურად გაუსწორდა.



თემურ მგალობლიშვილი დაზიანებებით გადაყვანილია ჩოხატაურის რაიონულ საავადმყოფოში. დაზარალებული ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, კახა ცერცვაძემ მოინახულა.

შსს-ის გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოთხივე კანონდამრღვევი დააკავა. საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების – ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას აქტიურად ახორციელებენ. თითოეული სამართალდამრღვევის მიმართ ტარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე, კანონოთ გათვალისწინებული უმკაცრესი ზომები იქნება გატარებული ყველა იმ პირის მიმართ, ვინც რაიმე სახის ზეწოლას განახორციელებს სამსახურებრივი უფლებამოსილების შემსრულებელ პირზე.

# „ქართული ოცნება“ ძალაუფლების გაყოფისთვის მზად არ არის“

### ლევან ალაფიშვილი: „რუსთაველის გადათხრა არ არის რეფორმები და რეალური ცვლილებები“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, თუ ოპოზიციამ არაფერი შეცვალა 2024 წლის არჩევნებზე, „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას ისევ შეინარჩუნებს. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ანგარიშგასაწევ ძალად რომ იქცეს, რა უნდა შეცვალოს?***

– საქართველოში, როდესაც პარტიულ სისტემას არ აქვს არანაირი ღირებულებები, იდეოლოგია და დგას ერთი ადამიანის ინტერესებისა თუ მიზნების სამსახურში, მათი სურვილების განხორციელებაა მიზანი, როდესაც პარტია კერძო პირებზეა მორგებული, სახელმწიფოში დიდ, გლობალურ ცვლილებებზე რთულია საუბარი.

დღეს თვალყურს ვადევნებთ ორი პარტიის – მმართველი პარტიისა და ყოფილი, დღეს ოპოზიციაში მყოფი პარტიის ქიშპობას. ხშირ შემთხვევაში, ვიწრო პარტიულსა და კონკრეტრულ პირებთან დაკავშირებულ, სუბიექტურ კინკლაობას. ეს შეუძლებელია, სახელმწიფო ინტერესებით იყოს ნაკარნახევი. ამ დროს რომელ სერიოზულ, მნიშვნელოვან ცვლილებაზე შეიძლება საუბარი იყოს. თუკი მიზანი ცვლილებაა, მაშინ ვფიქრობ, არა ამ პარტიებმა, რომლებიც ისედაც დაზიანებულები არიან, არამედ საზოგადოებამ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. თუნდაც ისეთი, როგორიც იყო ევროკავშირის სტატუსი და მისი მოპოვება. საზოგადოება უნდა იყოს ბევრად უფრო აქტიური.

***– როდესაც ოპოზიცია სუსტია?***

– დიახ, რასაკვირველია. სოციოლოგიურმა კვლევებმა მშვენივრად აჩვენა ტენდენცია. ამომრჩევლის აბსოლუტურ უმრავლესობას არ აყმაყოფილებს არსებული პოლიტიკური სპექტრი და არჩევანის გარეშეა. მოქალაქეების, ამომრჩევლის განწყობები, სურვილები სხვაგანაა, პოლიტიკური სპექტრის – სხვაგან. ამაზე მძიმე რეალობა და არაკომფორტული მოცემულობა რა შეიძლება იყოს. ამიტომ ვამბობ, რომ საზოგადოება უნდა იყოს ბევრად უფრო აქტიური.

***– შეუძლია პროცესებზე რამე გავლენა იქონიოს?***

– შეუძლია! და ეს ჩვენმა საზოგადოებამ არაერთგზის დაადასტურა. ვერ გეტყვით, მმართველ პარტიას ცვლილებებისთვის მზაობა რამდენად აქვს, მაგრამ ფაქტი ერთია, ზეწოლა შეუძლია და ეს, როგორც იტყვიან, მუშაობს.

წლების მანძილზე სურათი არ იცვლება. ქვეყანაში ისეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, რომ ადამაინები ოჯახების გადასარჩენად ემიგრაციაში მიდიან. ვერ ნახავთ ოჯახს, საიდანაც ერთი ან ორი ადამიანი ემიგრაციაში არ იყოს წასული ლუკმა-პურის საშოვნელად. ისეთი კატასტროფული ვითარებაა, როდესაც თაობები მშობლების გარეშე იზრდებიან. წლების მანძილზე პრობლემა პრობლემად რჩება. როდესაც ხელისუფლება ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობს, ეს ხომ უნდა იგრძნოს ოჯახმა, ეს ხომ უნდა იგრძნონ ადამიანებმა. როდესაც ასეთი მაღალია ინფლაციის დონე, ასეთი ზრდა ასახვას ვერ ჰპოვებს მათზე.

***– რამდენად შეუძლია „ქართულ ოცნებას“ რეალური ცვცლილებები? რამდენად აქვს ამის რესურსი?***

– რუსთაველის გადათხრა არ არის რეფორმები და რეალური ცვლილებები. ეს არაფერ შედეგს არ მოუტანს მათ. არც მათ ამომრჩეველში.

***– ფიქრობთ, წინასაარჩევნოდ ახალ სახეებს წარადგენენ ძველების სანაცვლოდ და ეს იყოს ამომრჩევლისადმი ერთგვარი შეთავაზება?***

– გასაგებია ასეთი მანევრი, მაგრამ ეს არავითარ შედეგს არ იქონიებს. ამით არსებულ მძიმე რეალობას ვერ შეცლიან. საჭიროა სახელმწიფოს ახლებურად აშენება, ამას კი სულ სხვა ხელისუფლება და სულ სხვა ოპოზიცია სჭირდება.



**„ამომრჩევლის აბსოლუტურ უმრავლესობას არ აყმაყოფილებს არსებული პოლიტიკური სპექტრი და არჩევანის გარეშეა. მოქალაქეების, ამომრჩეველის განწყობები, სურვილები სხვაგანაა, პოლიტიკური სპექტრის – სხვაგან“**

ნებისმიერ ქვეყანაში მმართველ პარტიას, რომელიც წლების მანძილზე ძალაუფლებას ინარჩუნებს, იმდენი ნეგატივი უგროვდება, რომ ვერანაირი პარტიული სახეების ცვლილება ვერ უშველის. ერთადერთი, თუ რამე გადაარჩენს ახლა „ოცნებას“, ეს ოპოზიციის სისუსტეა, მაგრამ რამდენად იქნება თუნდაც ეს ფაქტორი ძალაუფლების სრულად შენარჩუნებისთვის საკმარისი, არ ვიცი.

ასევე, ისიც ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ არ არის მზად ძალაუფლების გაყოფისთვის, რაც სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს.

***– კოალიციურ მმართველობას გულისხმობთ?***

– დიახ. ამის მზაობა არ აქვს მმართველ პარტიას და ეს აშკარად იგრძნობა. რეალურად ისინი განაცხადს ძალუფლების კვლავ შენარჩუნებაზე აკეთებენ. მათი ლიდერები ამაზე ღიად ლაპარაკობენ.

# „რუსულ ხაზინას უჭირს“

### ჯემალ გამახარია: „თუ აფხაზეთში რაღაც პრობლემაა და მოგვმართავენ, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვიხილოთ და, შესაძლებლობის ფარგლებში, დავეხმაროთ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**

***– ბატონო ჯემალ, რუსეთმა აფხაზეთს მისგან მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური მოსთხოვა. მოგეხსენებათ, ადრე უფასოდ აწვდიდა, როგორც ჩვენ ენგურჰესიდან ვაწვდით უფასოდ. რუსეთის ეს გადაწყვეტილება რას ნიშნავს და მოვლენები როგორ შეიძლება განვითარდეს?***

– რუსეთის მიზანი ყოველთვის აფხაზების რაღაცაზე დაყოლიება-დათანხმებაა, როდესაც მას სურს, ესა თუ ის ობიექტი შეიძინოს, ვთქვათ, ხელში ჩაიგდოს ბიჭვინთის აგარაკები. ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის.

ასევე ე.წ. აპარტამენტების პრობლემაა, რომელიც ასევე დღემდე გადაწყვეტილი არ არის. რუსებისთვის უძრავი ქონების შესყიდვის უფლების მინიჭების პრობლემაა და დღემდე გადაუწყვეტელია.

ყველაფერ ამაზე რომ დაიყოლიოს, კრემლი იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს, რომელიც მას გააჩნია. ამ შემთხვევაში ძალიან სერიოზული ბერკეტი აქვს, სწორედ ენერგომომარაგების სახით.

რუსები ეუბნებიან აფხაზებს, 2016 წლიდან რუსეთი ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიას გაწვდიდა და, როგორც წესი, ელექტროენერგიის საფასურს არ გახდევინებდით. თუმცა, კრემლი არასდროს ამბობდა, მე თქვენ ამას გჩუქნითო.

რუსეთი ელექტროენერგიას აწვდიდა და ფულსაც ითვლიდა. რუსებმა დაითვალეს და მხოლოდ ბოლო 3 წლის განმავლობაში 6 მილიარდი რუბლის ელექტროენერგია გვაქვს მიწოდებულიო.

კიდევ ერთი პრობლემაა – კარგად მოგეხსენებათ, იმ ავანტიურის, აგრესიის გამო, რომელიც რუსეთმა უკრაინაში განახორციელა და ახორციელებს, რუსულ ხაზინას უჭირს. ამიტომ საკითხი დასვეს, რომ 9-10 მილიონი უნდა გადაუხადონ.



***– ანუ ერთმნიშვნელოვანი მიზეზი არ არსებობს, რისთვისაც რუსეთი აფხაზეთს ელექტროენერგიის საფასურს სთხოვს?***

– ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ეკონომიკური ზეწოლაა, აფხაზები აიძულონ, სულ უფრო მეტ დათმობაზე წავიდნენ, რათა რასაც რუსები ითხოვენ – ბიჭვინთა, აპარტამენტები, უძრავი ქონება და კიდევ სხვა ბევრი რამ – მიიღონ. უნდათ, პროცესი არ გააჭიანურონ და აფხაზებმა შესაბამისი სამართლებრივი აქტები გამოსცენ. დე ფაქტო მმართველები დათანხმდნენ. მათ აქტები მიიღონ და ყველაფერი რუსებს გადასცენ.

ამას რუსები, რა თქმა უნდა, მიაღწევენ. ბოლოს და ბოლოს, თუ ამ ზეწოლით არაფერი გამოვიდა, ძალით წაართმევენ. ეს მათთვის პრობლემა არ არის, მაგრამ სურთ, ვითომ სამართლებრივი გზით, რაღაც კანონებისა და სამთავრობო დადგენილებების მიღების გზით, თავისი გეგმები განახორციელონ.

აი, ახლა, ხელთ შესანიშნავი ბერკეტი აქვთ – ზამთარი უკვე მოვიდა, ენგურჰესის გამომუშავება კი შემცირდა. სხვათა შორის, ერთი თვის წინ ვიყავი ენგურჰესზე და წყალი მართლა არ არის. წყალი თუ არ არის, ელექტროენერგია საიდან იქნება.

ამის გამო აფხაზებმა ელექტროენერგიის მოწოდება დამატებით რუსეთიდან უნდა განახორციელონ. ასე რომ, რუსეთი ამ ბერკეტს მშვენივრად იყენებს.

ორი ფაქტორია, ერთი ეკონომიკური ზეწოლა და მეორე – რუსეთის ხაზინას უჭირს.

***– საქართველოს არ შეუძლია, გარდა ენგურჰესიდან მიწოდებისა, ელექტროენერგია დამატებით თავისი საშუალებებით მიაწოდოს?***

– ქართულმა მხარემ ამას წინათ განაცხადა, რომ არანაირი ვალდებულება არ აქვს აღებული, გარდა იმისა, რომ ენგურჰესის გამომუშავების 40% აფხაზებს მიაქვთ და, როგორც ჩვენ ვიცით, სრულიად უფასოდ. მეტი სხვა ვალდებულება ჩვენ არ გაგვაჩნია.

***– თუ აფხაზები თხოვნით მოგვმართავენ?***

– თუ აფხაზები თხოვნით მოგვმართავენ, ალბათ, ქართული მხარე მათ თხოვნას განიხილავს, მაგრამ მათ თხოვნით არ მოუმართავთ.

***– ჩვენ ამ სიტუაციაში ინიციატივა არ გვაქვს?***

– არა, ჩვენ ინიციატივა არ გვაქვს. ალბათ, არც იქნება და არც უნდა იყოს. თუ მოგვმართავენ, საქართველოს მთავრობა ამას განიხილავს. რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, არ ვიცი, მაგრამ ყურადღებით რომ განიხილავს, ფაქტია.

***– ეს არ არის ჩვენთვის დაახლოების, ურთიერთგაგების, ურთიერთთანამშრომლობის რაღაც საშუალება? თან თქვენ ამბობთ, თუ მოგვმართავენ, საქართველოს მთავრობა განიხილავს, მაგრამ არ ელოდებით გადაწყვეტილებას, რომ ელენერგია დამატებით მიეწოდოს.***

– მე არ ვამბობ, რომ ეს არ მოხდება. ადრე ასეთი შემთხვევები არაერთხელ ყოფილა. აფხაზები ამას საკუთარ მოსახლეობას უმალავდნენ. მოსახლეობას არასდროს ეუბნებიან, რომ საქართველომ დამატებით მოგვაწოდა ეს და ეს.

ძალიან კარგად მესმის, რომ თუ აფხაზეთში რაღაც პრობლემაა და მოგვმართავენ, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვიხილოთ და, შესაძლებლობის ფარგლებში, დავეხმაროთ.

მე არ ვამბობ, რომ ამას ყურადღება არ მიექცევა. უბრალოდ, მე არ ვიცი, საქართველოს მთავრობა როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. თან მომართვა არ ყოფილა და ამაზე რომ ვიმსჯელოთ, უხერხულია.

***– მე ჩვენი შეთავაზებების ფარგლებში ამის გაკეთებაზე ვსაუბრობდი. ხომ არის რაღაც გეგმები აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთდაახლოების კუთხით?***

– კი, ბატონო, მაგრამ იქით რომ მიმართონ თხოვნით, როგორმე ჩვენი დახმარება მიიღეთო, ასე ხომ არ იქნება.

ერთიანი ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტთან დაპირისპირება, ინციდენტი პარლამენტში და რეიტინგები

მარიამ მჭედლიშვილი

## დაპირისპირების ახალი ტალღა პრეზიდენტსა და მმართველ გუნდს შორის

გასულ კვირაში მმართველი გუნდის წარმომადგენლები – პრემიერით დაწყებული, დეპუტატებითა და მინისტრებით დამთავრებული, პრეზიდენტ ზურაბიშვილს კიცხავდნენ.

საამისო მიზეზი ორი იყო – ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოთქმული კრიტიკა და სი ძინ პინის პუტინთან ერთად დაყენება.

ფრანგულ „ლე მონდთან" ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად მოიხსენია და თქვა, რომ იგი იმედს ამყარებს რუსეთის გამარჯვებაზე.

– ის ოლიგარქია, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა.. ის მათ რიგებშია, ვინც ვერ წარმოიდგენს, რომ რუსეთი დამარცხდება. ამიტომაც ცდილობს, წინასწარ მოერგოს რუსეთის გამარჯვებას.. ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის გარდა სხვა ოლიგარქი არ არის და პასუხი დეოლიგარქიზაციაზე მომავალ არჩევნებშია... დეოლიგარქიზაცია ნიშნავს, რომ რაც შეიძლება თავისუფალი არჩევნები გვჭირდება რეალური კოალიციით, პროევროპული ფრონტით, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის მწვავე გამონათქვამებმა „ქართული ოცნება" წყობიდან გამოიყვანა. უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ მას გადადგომისკენაც კი მოუწოდა.

მმართველი გუნდის მხრიდან პრეზიდენტზე ბობოქრობის საბაბი გახდა ასევე ლიდერ სი ძინპინზე ნათქვამი ფრაზა. სალომე ზურაბიშვილმა ფრანგული ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში უპასუხა შეკითხვას: იმედოვნებს თუ არა, რომ პუტინი და სი ძინპინი ოდესმე გასამართლდებიან? პრეზიდენტმა პასუხად განაცხადა, რომ ეს ისტორიული შედეგი იქნებოდა, რაც გარკვეულ საკითხებს თავის ადგილს მიუჩენდა. ამასთან, მან დასძინა, რომ ეს რეალისტური არ არის.

პრემიერმა ღარიბაშვილმა ჩინეთის ელჩთან გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტ ზურაბიშვილის ამ განცხადებას „კატეგორიულად მიუღებელი და შემაშფოთებელი" უწოდა.

მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებით, „აღნიშნული რიტორიკა ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების, ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ჩინეთთან და არ შეესაბამება ორი ქვეყნის მეგობრული, სტრატეგიული პარტნიორობის სულისკვეთებას. ის ზიანს აყენებს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულსა და პარტნიორულ ურთიერთობას".

პრემიერის სიტყვებით, „საქართველო არის საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტი არ ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. საქართველოში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა".

პარლამენტის „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა:

– სალომე ზურაბიშვილი აღარ არის პრეზიდენტი. ჩვენ მას პრეზიდენტს აღარ ვუწოდებთ, რადგან ჩვენი მხრიდან ლეგიტიმაცია აღარ აქვს. მას მოვიხსენიებთ არა პრეზიდენტად, არამედ, უბრალოდ სალომე ზურაბიშვილად, ოპოზიციონერ პოლიტიკოსად, რომელიც ამ ნიშაში მშვენივრად ჩაჯდა. მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ ეს ადამიანი უხეშად არღვევს კონსტიტუციას.

რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის შეფასებით, პრეზიდენტის ეს განცხადება „ქართულმა ოცნებამ" საბაბად გამოიყენა:

– ეს განცხადება ხელისუფლების მიერ გამოყენებული საბაბია, რადგან სხვა ვითარებაში ამას ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

დავით ბერძენიშვილის დასკვნით, ასეთ კამპანიას პრეზიდენტის წინააღმდეგ ევროპაში არ მოიწონებენ:

– ხელისუფლება ევროპას რომ ეტყვის, ამ ქალს მე პრეზიდენტად არ მოვიხსენიებო, ევროპა რას ეტყვის, ყოლაღ, ტაშიო? ეს არის გაბუტული, მდარე საქციელი.

• • •

## აქტივობები ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად

დეკემბერში ოფიციალურად გაფორმდება საქართველოს ევროპული სტატუსი და ქვეყანა, დიდი ალბათობით, გახდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. სრულფასოვანი წევრობისთვის დიდი გზაა გასავლელი.

ამ ეტაპზე საქართველოს შესასრულებელი აქვს 9 რეკომენდაცია. „ქართულმა ოცნებამ" დააანონსა ამ რეკომენდაციების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფების შექმნა. იგივე მოწოდებით, თავის მხრივ, გამოვიდა პარტია „საქართველოსთვის". ოპოზიციის უმრავლესობამ მმართველი პარტიის მოწოდება არაგულწრფელად მიიჩნია. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა გამოაცხადეს, რომ სინამდვილეში „ოცნება" არაფრის გამკეთებელი არ არის, რეფორმებზე კი პარტია დამოუკიდებლად მუშაობს.

ევროპელი პარტნიორების რეკომენდაციაა, რომ რეფორმებზე მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ ერთად უნდა იმუშაონ და შეამცირონ ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური პოლარიზაცია. ერთ-ერთი მთავარი შესასრულებელი პუნქტი ეხება თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ საარჩევნო პროცესს.

მმართველი გუნდი ჩივის, რომ რადიკალური ოპოზიცია პროცესში არ ჩაერთვება.

– არც ერთ სამუშაო პროცესში არ მიიღეს მონაწილეობა და პრაქტიკულად არ დაუჭირეს მხარი არც ერთ რეფორმას, რომელიც ევრორეკომენდაციების განხორციელებას ეხებოდა, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა არჩილ თალაკვაძემ.

„ქართული ოცნების" წარმომადგენლები გასულ კვირაშიც ლაპარაკობდნენ რადიკალური ოპოზიციის გეგმებზე.

– მათ ჩაუვარდათ დესტაბილიზაციის გეგმა, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო სტატუსის არმოცემა. აქედან გამომდინარეობს ყველა ის არაადეკვატური, ისტერიკული განცხადება, რომლებსაც ვისმენთ ჩვენი ოპონენტებისაგან, – აღნიშნა ვიცე-სპიკერმა გიორგი ვოლსკიმ.

უპარტიო დეპუტატმა, „რეფორმების ჯგუფის" ფარქციის წევრმა თეონა აქუბარდიამ გამოთქვა რეფორმებზე მუშაობაში მონაწილეობის მზადყოფნა:



– მე, როგორც ერთი დამოუკიდებელი დეპუტატი, ვაპირებ მუშაობას ყველასთან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანება. პოლიტიკური ნება უნდა იყოს „ქართული ოცნების" მხრიდან, რომ ისინი დაასრულებენ ანტიდასავლურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციის გავრცელებას, ასევე განახორციელებენ რეფორმებს.

მისი აზრით, ვინც ამას არ გააკეთებს, პოლიტიკურ პასუხს აგებს 2024 წლის არჩევნებზე.

დეპუტატს პარტია „გირჩიდან" სანდრო რაქვიაშვილს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ მმართველმა პარტიამ 9 ევრორეკომენდაცია შეასრულოს.

– არჩევნებამდე 9 რეკომენდაციის შესრულების მცდელობა არის ძალიან კომიკური. ფაქტობრივად, ირიბად მიგვითითეს, რომ ამ მთავრობის პირობებში შეუძლებელია, რომ ევროინტეგრაცია გაგრძელდეს, – აღნიშნა რაქვიაშვილმა.

ერთ-ერთი ევრორეკომენდაცია სამართლიან, კონკურენტულ და თავისუფალ საარჩევნო პროცესს ეხება. ოპოზიციამ ამ კონტექსტში 5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი წამოსწია, მაგრამ უშედეგოდ. მმართველმა პარტიამ საარჩევნო ზღურბლის დაწევა გამორიცხა და ოპოზიციის „უსუსურობაზე" ისაუბრა.

• • •

## მორიგი კონფლიქტი პარლამენტში

პარლამენტში მყოფი იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე პარასკევს სხდომაზე აქტუალურ საკითხებზე საუბრობდა. თემამ სააკაშვილზე დარბაზში ხმაური გამოიწვია. „ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარემ, თინა ბოკუჩავამ რამდენიმე რეპლიკა წარმოთქვა. ამის შემდეგ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა უმრავლესობის დეპუტატმა ლევან მგალობლიშვილმა. დარბაზში გაწევ-გამოწევა შეიქმნა. მგალობლიშვილი მოწყვეტილ მიკროფონს ატრიალებდა.

თინა ბოკუჩავამ და ანა წითლიძემ მოითხოვეს მგალობლიშვილის შემოწმება და მისთვის ალკოტესტის ჩატარება.

ოპოზიციამ დაასკვნა, რომ ეს არის კიდევ ერთი შეტევა ოპოზიციონერ ქალ დეპუტატებზე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ასეთი გამოხდომებისთვის უმრავლესობა დამნაშავეებს პასუხს არ სთხოვს.

კომენტარები, კლინიკა „ვივამედში" მყოფი ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამ სკანდალურ სხდომამდეც მრავლად იყო.

იუსტიციის მინისტრის რატი ბრეგაძის თქმით, სააკაშვილის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

– მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რითაც ჩვენ მოხარულები ვართ და როდესაც იქნება ექიმების რეკომენდაცია, ის გადაყვანილი იქნება პენიცენციურ დაწესებულებაში, – განმარტა იუსტიციის მინისტრმა.

სხვები სააკაშვილის მძიმე მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ. საუბარი იყო ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკურ ასამბლეაზე. მას ნაციონალური მოძრაობიდან ესწრებოდა ზურაბ ჭიაბერაშვილი. მისი მონაწილეობით ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც საუბარია სააკაშვილზე.

– მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან შემაშფოთებელია. მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე ჯერ კიდევ რისკის ქვეშაა, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

თვითონ სააკაშვილი კლინიკიდან აქტიურადაა ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ქართულ პოლიტიკაში აქტიური ჩაბმა 15 ივნისს დააანონსა. მისი ბოლოდროინდელი ინიციატივები ეხება საარჩევნო სიის ახალი სახეებით დაკომპლექტებას და 23 ნოემბრამდე მანიფისტის ხელმოწერას. მანიფესტში ერთიანობაზეცაა საუბარი. ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, პარტიის გარეთ აღმოჩნდება.

ამასთან, ცოტა ხნის წინ სააკაშვილმა საკუთარ ჯანმრთელობაზეც ისაუბრა.

– ყველა, ვინც ცდილობს, რომ თავისი ვიწრო მიზნებისთვის დავრდომილ ადამიანად წარმომადგინოს, პუტინის თამაშს თამაშობს და ძალიამ მწარედ ცდება, – აღნიშნა სააკაშვილმა.

• • •

## ვიშვიში გამოქვეყნებული რეიტინგების გამო

გასულ კვირას გამოქვეყნდა სხვადასხვა საზოგადოებრივი კვლევის შედეგები. კომენტატორებმა გაიხსენეს პროგნოზი იმის შესახებ, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ქართული ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. ამაზე პოზიციას გამოხატავდნენ „ოცნების" მოწინააღმდეგეები.

– „ქართულ ოცნებას" ჰყავს გენერალური მდივანი, ბატონი კალაძის სახით, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობით დავრჩებითო, – აღნიშნა „ლელოს" ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე სამადაშვილმა.

იგი კალაძის ამ განაცხადში 2024 წლის არჩევნების გაყალბების განზრახვას ვარაუდობს:

– ეს პირდაპირი განაცხადია, რომ არჩევნები უნდა გავაყალბოთო.

პოლიტოლოგი გია ნოდია მიიჩნევს, რომ საკონსტუტუციო უმრავლესობით მოსვლის გეგმებზე საუბარი წინასაარჩევნო ხასიათისაა და გასაკვირი არ არის. მისი აზრით, მმართველი გუნდი ერიდება მომავალ კოალიციაზე საუბარს, რათა ეს ვინმემ სისუსტეში არ ჩაუთვალოს:

– არ უნდა გამოაჩინო, რომ კოალიციაზე ფიქრობ. უნდა იძახო, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით მოვდივარ. როგორც კი შეგატყობენ, რომ ვიღაც ისე მძაფრად არ გააკრიტიკე, მაშინვე დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ის კოალიციისთვის ემზადება, ე.ი. სუსტია და არ სჯერა, რომ არჩევნებს მოიგებსო.

მისი ვარაუდით, ბიძინა ივანიშვილი მომავალ კოალიციაზე ფიქრობს. ნოდიას აზრით, მომავალ კოალიციაში შეიძლება გაერთიანდნენ ძალები, რომლების ერთად ყოფნა წარმოუდგენელია.

– გუბაზ სანიკიძე რომ პრაქტიკულად მიხეილ სააკაშვილის მეხოტბე გახდა, ეს რამდენად ლოგიკურია? თუ ეს შესაძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია, – ამბობს პოლიტოლოგი.

სამი გამოკითხვის შედეგად დადებული პარტიების რეიტინგები ერთმანეთისგან განსახვავებულია. ამასთან, ყველა კვლევა ადასატურებს „ქართული ოცნებისა" და ნაციონალური მოძრაობის დომინანტობას. სხვა პარტიების (მინიმუმ, ორის) მომავალ პარლამენტში მოხვედრა, ამ ციფრებით, გარანტირებული არ არის. სხვების რეიტინგები ძალიან დაბალია.

ამ თემის კომენტარებისას პოლიტიკოსებმა პოლარიზაციაში უფრო ღრმად შეტოპეს.

– ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, – თქვა ოპოზიციაზე „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

– ამ ხელისუფლებამ უკვე მიიყვანა ქვეყანა ჯანდაბამდე, – გამოეხმაურა მას ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი.

ირაკლი კობახიძემ კმაყოფილება გამოთქვა ოპოზიციური პარტიების დაბალი რეიტინგებით და აღნიშნა, კარგი იქნება, თუ ექსტრემისტული და კლუბური ტიპის პარტიები პარლამენტში ვერ მოხვდებიანო.

მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ორ პარტიას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. მან „ლელოს" კლუბური, ტელევიზიების იმედად მყოფი პარტია უწოდა, პარტია „საქართველოსთვის" ლიდერს, გიორგი გახარიას კი – „გადამგდები", რომელიც ოფისების დავალიანებებს ვერ ფარავს.

„ლელოს" წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, თქვეს, რომ მათი პარტიის მიზანი უბრალოდ საარჩევნო ბარიერის გადალახვა კი არა, „რუსული ხელისუფლების გაშვებაა".

„საქართველოსთვის" წევრებმა, ტრადიციისამებრ, ისაუბრეს „ქოცებისა და ნაცების" ალიანსზე და იმაზე, რომ მმართველი პარტია აძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას.

# „სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილთან გამიჯვნა-დაპირისპირება გააფორმა!"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ამ შუაშისტურ ძალაში ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობიდან უკვე წამოსულ და წამოსასვლელ ადამიანებსაც. ნუ დავივიწყებთ, რომ ნაციონალური მოძრაობიდან წამოსულია წინა მოწვევის პარლამენტში ნაცების ფრაქციის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე, ამავე მოწვევის პარლამენტში, ფრაქციის თავმჯდომარე ხატია დეკანოიძე. წამოსასვლელად გამზადებულია ნიკა მელია. თვითონ წამოვა თუ გამოაგდებენ, ეს ამ თვეში გადაწყდება. ველოდებით 23 ნოემბრის მანიფესტს. ბუნებრივია, ეს ადამიანები და კიდევ ბევრი სხვა, რომელიც წასულია ნაცმოძრაობიდან, ამათაც მე მოვიაზრებ ამ შუასისტურ გაერთიანებაში. კეთილი იყოს მათი მობრძანება ჩვენს შუაშისტურ თანამეგობრობაში.

***– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე და იქ დარჩენილებზე? კი ჰყავს ერთგული ამომრჩეველი, მაგრამ ვისმენთ ისეთ შეფასებებსაც, რომ თვითგანადგურების რეჟიმი ჩართესო.***

– ნაციონალურ მოძრაობას დაღმასვლა აქვს, მაგრამ დიდი რეზერვი აქვს ძალიან. მით უმეტეს, მიშა იქნება მათი დროშა, სახე და საერთოდ ყველაფერი. ალბათ პრემიერობის კანდიდატი. სულ ტყუილად აქვს ვიღაცებს იმედი, რომ სხვები იქნებიან. სადაც მიშაა, იქ სხვა ვერ იქნება.

***– კეზერაშვილთან როგორ მორიგდება?***

– კეზერაშვილის გავლენა სულ უფრო მზარდია ნაციონალურ მოძრაობაში. მერაბიშვილიც იქვეა. რაღაცა ასეთი სიმბიოზი იქნება მიღებული, ვინც მიშას 5 ნომერს ხაზავს, კეზერაშვილისა და ვანოს ყოფნის მიუხედავად, ის დარჩება მიშასთან. ვისაც კეზერაშვილისა და მერაბიშვილის ამხელა გავლენით ყოფნა არ უნდა პარტიაში, ის ხატიას, რომანსა და ნიკას გაჰყვებიან. რამდენი პროცენტი გაჰყვება, არ ვიცი. მე მაინც მგონია, რომ მიშას 5 ნომერს საკმარისად ეყოფა ძალა იმისთვის, რომ 20%-ის მიდამოებში იყვნენ. მეორე 20%-ზე მეტის შანსი ექნება ამ პატარების დიდ შუაშისტურ გაერთიანებას. მესამე ფლანგი, ბარიერგადამლახველი იქნება გახარიას პარტია. აი ეს სამი ფლანგი იქნება და როგორც პოლონეთში მოხდა, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილზე გასული პარტიები ქმნიან კოალიციას. ერთი პრობლემაა, ამ შუაშისტურ გაერთიანებას არ ეყოლება ერთი გამოკვეთილი ლიდერი, ისეთი, როგორც პოლონეთს ჰყავს ტუსკი. ამიტომ შუშისტურ ძალას არ ეყოლება ვინმე გამოკვეთილი ლიდერი.

***– ვერ მოიძებნება ასეთი?***

– შეუძლებელია, რომელიმე 2-3%-იანი პარტია იყოს საყრდენი. 2%-მა 20% გაიერთიანოს, ეგ ახლა წარმოუდგენელია. არითმეტიკული შეცდომაა, სხვას რომ თავი დავანებოთ. ამიტომ ყველას ექნება თავისი გავლენა, ზოგს ცოტა მეტი, ზოგს ცოტა ნაკლები, მაგრამ არავინ იქნება გამოკვეთილი ლიდერი და მით უმეტეს, ვარსკვლავბიჭუნა და ბელადი. ამოცანა იქნება მრავალპარტიული გაერთიანება, აქ მე ვგულისხმობ სამოქალაქო აქტივისტებსაც. ასევე ვგულისხმობ მარტის აქციების სიმბოლოებსაც. ყველასი ამათი ერთიანობით, ეს შუაშისტური ძალა შეიძლება გახდეს არა მესამე, არამედ პირველი ძალა, რომელიც არჩევნების შემდეგ, ნაცებთან და გახარიასთან ერთად, შეკრავდა ახალ სახელისუფლო კოალიციას.

# „რუსულმა თვითმფრინავებმა ცაში გადმოკიდეს ეგრეთ წოდებული „ლუსტრები“

**ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა. იგი ტამიშის გზის გახსნის ცნობილ ოპერაციაზე გვიამბობს, სადაც რუსეთის რვაასკაციანი მედესანტეებიდან მხოლოდ ორასმა მოახერხა ბრძოლის ველიდან გაქცევა.**

***— 1993 წლის ივლისში ქართულმა საჯარისო გაერთიანებულმა ნაწილებმა ტამიშზე რუსეთის სადესანტო-საშტურმო ნაწილის რვაასკაციანი დესანტი პრაქტიკულად პირწმინდად გაანადგურეს. იქნებ მოგვიყვეთ ამ ბრძოლის დეტალების შესახებ?***

— 24-ე ბრიგადის (რომლის შემქმნელი და მეთაური თავიდან გია ვაშაკიძე იყო, ხოლო მერე ადგილობრივი ვაჟკაცი ბუთხუზ თოხაძე) დაზვერვის მეთაურმა სოსო გიგიძემ ინფორმაცია მოიპოვა — მოსალოდნელი იყო პრიმორსკში მრავალრიცხოვანი დესანტის შემოსვლა. ამ დროისთვის ოჩამჩირეში რუსეთის პორტი ფუნქციონირებს. პრაქტიკულად მათი გარნიზონი დგას. „გარადოკი“ საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, მოედნებით, კაფებარებით, რომლის ტერიტორიაც მთლიანად დახურულია.

ასევე ოჩამჩირეში იმყოფებოდნენ კგბ-ს მესაზღვრეები, რომელთა მთავარი ამოცანა იყო საზღვრის დამრღვევთა აღმოჩენა და მერე ინფორმაციის პორტისთვის მიწოდება. საიდანაც შემდგომში უკვე სათანადო რეაგირება მოხდებოდა?! ნაგვალუდან პრიმორსკამდე 33 კილომეტრიან ზღვის ზოლზე ჩააყენა ბუთხუზ თოხაძემ თამაზ ალანიას სასაზღვრო დივიზიად გადაკეთებული საჰაერო დივიზია. მთელ ამხელა ტერიტორიას აკონტროლებს ზარბაზნების კოლონადა, 55 მილიმეტრიანი და ასმილიმეტრიანი ქვემეხები, თვითნაკეთი საარტილერიო თვითმავალი („დერზსკი“), „ემტეელბე“ (საარტიოერიო „ტიაგაჩი“); ერთზე დამაგრებულია „ზეუ“ („პვო“ ზალპური ოცდასამიანი), მეორეზე 55-იანი კასეტური ქვემეხი.

მოკლედ, ბუთხუზას ბრძანებით, არ წყდება 33-კილომეტრიან სანაპირო ზოლზე ზალპების გრუხუნი. ამ მანევრმა ორი-სამი თვე ფიქრიც კი გააწყვეტინა რუსეთს პრიმორსკის დესანტზე. სხვათა შორის, პორტის შესასვლელში ეწერა, რომ ის ტერიტორია, სადაც პორტი იყო გაშენებული, წარმოადგენდა რუსეთის მიწას.

1993 წლის ივლისის დასაწყისისთვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმრავლესობა ოჩამჩირიდან გამოყვანილია. ძირითადად ადგილობრივი მამაცი ბიჭებით კონტროლდება ოჩამჩირე. ტამიშის ტერიტორია ახლა მხედრიონის ნაცვლად სხვა შეიარაღებულ ნაწილებს უკავიათ. ტამიშზე ე.წ. ბრეში (განლაგებულ ნაწილებს შორის ცარიელი ადგილი) საეჭვოდ აციმციმდა. არტილერისტმა ნაურიმ სასწრაფოდ ჰაუბიცები (დე 30) გაამზადა. მზადყოფნაში ოთხი ბატარეაა. ბუთხუზამ სოხუმს აცნობა, მაგრამ ვიდრე პასუხს მიიღებდა, გრძნობს, რომ სიჩქარეა საჭირო.

ბრიგადაში იმ დროისთვის მივლინებული იყო თბილისიდან ასაკოვანი ოფიცერი ლეჟავა. მან მოკლედ თქვა, ცეცხლი.

***— ოჩამჩირეში დისლოცირებულ პორტს რა პასუხი ჰქონდა რუსების დესანტთან დაკავშირებით. მათ ხომ პირდაპირი რეაგირება უნდა მოეხდინათ საზღვრის დარღვევაზე?***

— ბუთხუზ თოხაძემ თავისი სარწმუნო წყაროთი გადაამოწმა, თუ რა ინფორმაციას ფლობდა და გადასცემდა ორი ივლისის დესანტის შესახებ რუსების საზღვაო პორტი. პორტიდან გემების თაობაზე მან შემდეგი პასუხი მიიღო: რომ ეს იყო სუხოგრუზი „გელენჯიკი“, რომელიც ბათუმში მიემართებოდა, გზაში მას თითქოს რაღაც გაუფუჭდა და თითქოს ამიტომ უნდა მოდგომოდნენ ტამიშის ზღვის სანაპიროს. რასაკვირველია, პორტმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ბუთხუზ თოხაძე მათზე ჭკვიანი აღმოჩნდა და მიიღო გადაწყვეტილება ცეცხლის შესახებ.

ბუთხუზას გადაწყვეტილების შემდეგ ამუშავდნენ ბიჭები და ლამის შუაზე იპობა ზღვა. შემოსული სამი გემიდან ერთს ზღვის ფსკერზე მიუჩინეს ადგილი ოჩამჩირელმა 24-ე ბრიგადელებმა. ერთმა უკვე ნაპირზე გადმოსვლა მოასწრო. მესამე შუა ზღვისკენ გაექანა.

ზღვის ნაპირზე გადმოსხმულ რუსეთის დესანტს (მათ შორის, ჩრდილოკავკასიელთა რაზმებიც არის) და ზღვის ნაპირზე განლაგებულ ქართველ ჯარისკაცთა შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს. 150-ზე მეტი ვაჟკაცი ეწირება ამ უთანასწორო ბრძოლას. შუაზეა გაწყვეტილი სოხუმი-ოჩამჩირის ტრასა, დაკარგულია ლაბრა. 1993 წლის 2 ივლისია. იმ დღეს რუსებმა უკვე ღიად ჩართეს თავიანთი სადესანტო ნაწილები საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. რვაასკაციანი, კარგად გაწვრთნილი, უმაღლეს დონეზე შეიარაღებული პროფესიონალი სამხედრო რუსი უტევს საქართველოს.

თბილისში ინფორმაციის მიღებისთანავე ჯაბა იოსელიანმა ჭადრაკის სასახლეში შეკრიბა მხედრიონელები. სამასი ბიჭი, ძირითადად „ტროფეით“ აღჭურვილები. კახელების და რუსთაველების მიერ შეძენილი „ბეემპეთი“ და „ბერდეემით“; მათ სამტრედიაში ასი მხედრიონელი დაემატა ტანკით. შენაერთი ჯაბა იოსელიანის მეთაურობით სასწრაფოდ დაიძრა ოჩამჩირისკენ.



ამ დროს ზვიადისტებს ზუგდიდი ისევ გადაკეტილი აქვთ. ჯაბა იოსელიანის დავალებით ხობის გამგებელი თემურ გერგაია და გიგა გელაშვილი ლოთი ქობალიას ხვდებიან. უნდა გაიხსნას ზუგდიდი და უნდა გაატარონ მაშველი ნაწილები, მათაც მიიღონ მონაწილეობა საქართველოს გადარჩენისთვის, თუკი ეს სურვილი ექნებათ. ასეთია იოსელიანის მიერ დაყენებული წინადადება. სხვათა შორის, წინა თვეებში ზვიადისტი ჯემალ ქობალია ოჩამჩირეშივე შემოუერთდა ჩვენს ნაწილებს თავისი მამაცი ბიჭებით, მაგრამ ამ დროისთვის, ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესების გამო, თბილისში რეანიმაციაში წევს.

შეიარაღებული ხალხის ცოცხალ ჯაჭვში გაიარა კოლონამ ზუგდიდიდან ოჩამჩირისკენ. ლოთი ქობალიას კარგად შეიარაღებული ხალხი პირობისამებრ ტამიშის გზის განთავისუფლების ოპერაციაში უნდა ჩაერთოს. დესანტის მეწინავე რაზმი მაიმუნთა „პიტომნიკში“ არის განლაგებული. უტევენ ცაგერას და დიდია მსხვერპლი. ოჩამჩირის შტაბში თხუთმეტწუთიანი თათბირის მერე მხედრიონი „პიტომნიკის“ მიმართულებით იძვრება. ჯაბა იოსელიანი და გია ვაშაკიძე გზიდან უკანვე აბრუნებენ რაზმებს, რომლებსაც ცრუ პანიკის გამო (თითქოს ცაგერა აღებულიაო) პოზიცია მიტოვებული აქვთ...

ტუნგოებიდანაც გამოჩნდნენ პანიკას აყოლილი ბიჭები. ჯაბა იოსელიანი და გია მათაც უკან პოზიციებზე აბრუნებენ. რუსულმა თვითმფრინავებმა ცაში გადმოკიდეს ეგრეთ წოდებული „ლუსტრები“ და გარშემო ყველაფერი გადააჩახჩახეს. მაგრამ პანიკა ცრუ აღმოჩნდა. ცაგერაში სასაფლაოებთან და სკოლის შენობასთან გამაგრებულნი არიან ხობის მხედრიონელები სოსო ლატარიას ხელმძღვანელობით, შავნაბადას ბიჭები და სხვა მცირე რაზმები.

ბატალიონ თბილისელის მეომრები, დმანისის მხედრიონელები, გაგრის მხედრიონი ბადრი ფირცხელანის და ლუხუმ ფალიანის მეთაურობით, ზემო ცაგერაში პოზიციებს იკავებენ.

***— ამ დროისთვის თქვენ სად იმყოფებით?***

— ამ დროისთვის მე მხედრიონელების რაზმთან ერთად დალის ხეობაში ვარ სხვადასხვა უღელტეხილების ჩასაკეტად (კვანის, ჯოლორ-ზაგემის და სხვ) ადგილობრივ ვაჟკაც სვანებთან ერთად ხეობას მომხდურებისგან კბილებით ვიცავთ. სეპარატისტების ყველა მცდელობა ხეობაში შემოჭრასთან დაკავშირებით მათი გვამების გატანით მთავრდება. დალის ხეობაში ვიგებთ ინფორმაციას ტამიშის დესანტთან დაკავშირებით; გადავწყვიტე, რაზმი ხეობაში დავტოვო და მე ორ მხედრიონელთან ერთად ოჩამჩირისკენ მივდივარ.

აჟარამდე ცხენებით ვიარეთ, აჟარიდან სოხუმამდე მოტოციკლეტით, სოხუმიდან ბარჟით და ასე ჩავაღწიეთ ოჩამჩირემდე. ბარჟა, საფრთხის გამო, სანაპიროს არ მიადგა. ჩვენ კი მეთევზის ნავით მივადექით ოჩამჩირის ნაპირს.

მალევე ლოთი ქობალია თავისი ხალხით ოჩამჩირეში შემოვიდა. შერიგება შედგა (თუმცა ძალიან მცირეხნიანი). ახლა ზვიადისტები ზღვის პირას განლაგდებიან, მხედრიონის ზურგში მარცხენა ფლანგს გააკონტროლებენ; მხედრიონი კი წინ მოწინააღმდეგის პირისპირ არის განლაგებული. საღამოთი დაიძრნენ ჩვენი ნაწილები „პიტომნიკისკენ“. ქარსაცავ ზოლებს შორის მინდვრებია, მინდვრის ზოლზე არხები. ბოლოს ორნახევარი მეტრის „პიტომნიკის“ კედელი. ტერიტორიის შიგნით ორსართულიან შენობაში რუსები და კონფედერატები არიან განლაგებულნი. მიწას ხნავენ მსხვილკალიბრიანი იარაღით „დესანტნიკები“. „აგს“-ის ჭურვის ნამსხვრევები ხელსა და ფეხში ხვდება ჯოჯოს; გელოვანის ბიჭების უმეტესობა დაჭრილია; ორი რუსთაველი მეომარი დაღუპული (სიგარეტის მოწევისას მტრის სნაიპერებმა დახვრიტეს). დაჭრილია ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსი თამაზ ფანჩულიძე (წესრიგა). ღამით კი წინ გადაწევა მოხერხდა, მაგრამ „პიტომნიკის“ აღება მაინც ვერ შევძელით.

დილით რუსულმა თვითმფრინავებმა ჩვენი საველე შტაბის ტერიტორია დაბომბეს. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. „კშმკ“ (სამხედრო მანქანაა, ჩვენ რატომღაც ვაგონის შტაბს ვეძახით) უკვე მთავარი შტაბია. იქ არის რაციები დამონტაჟებული, იქიდან უწევენ მეთაურები კოორდინაციას პოზიციებს. ჯემალ ჭუმბურიძემ ტანკები ჩამოიყვანა, ტრასაზევე აფეთქდა ერთი ტანკი და ჯემალმა კონტუზია მიიღო.

საზოგადოება

## გოგი ჩლაიძე საქართველოს სამეფო გვირგვინით დაჯილდოვდა

კომპოზიტორი გოგი ჩლაიძე საქართველოს სამეფო გვირგვინით დაჯილდოვდა. ჯილდო ხელოვანმა სამუსიკო ხელოვნებაში შექმნილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის მიიღო.

ინფორმაცია პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა უმცროსმა ამირან შალიკაშვილმა გაავრცელა:

— სამუსიკო ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის ბატონი გოგი ჩლაიძე საქართველოს სამეფო გვირგვინით დაჯილდოვდა.

ქართული პანტომიმისა და მთელი ჩვენი გუნდის სახელით ვულოცავთ ბატონ გოგი ჩლაიძეს ამ დამსახურებულ ჯილდოს.

გოგი ჩლაიძე ავტორია არაერთი მუსიკალური კომპოზიციის, რომელიც პანტომიმის სცენაზე დაიდგა. მათ შორის, „წმინდა გიორგი“ და „ქრისტე“.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცმა ქორწილის წინ აღმოაჩინა, რომ მისი საცოლე გათხოვილი იყო

მალაიზიაში მამაკაცმა თავისი ქორწილის წინა დღეს შეიტყო, რომ მის საცოლეს ქმარი და შვილები ჰყავდა.

მალაიზიის ქალაქ კუჩინგის 28 წლის მკვიდრმა ქალი 2021 წელს გაიცნო. 2022 წლის ოქტომბერში მათ ნიშნობა ჰქონდათ, ხოლო ქორწილის გამართვა მიმდინარე წლის 10 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი.

ქორწილის წინა დღეს სასიძო თავის 22 ახლობელთან ერთად საპატარძლოს სახლში მივიდა საქორწინო კონტრაქტის გასაფორმებლად, თუმცა, ქალი ადგილზე არ დახვდათ. მისი ან მისი მამის ძებნის დროს მათ შემთხვევით მათი საიდუმლო გამოავლინეს. აღმოჩნდა, რომ ქალი უკვე გათხოვილი იყო და ორი შვილიც ჰყავდა.

მოტყუებული მამაკაცი თვლის, რომ ქალი და მამამისი სპეციალურად გარიგდნენ მის მოსატყუებლად. მან პოლიციას მიმართა და განაცხადა, რომ ამ ფაქტმა მისი ოჯახის სიწმინდე და პატიოსნება შებღალა და სერიოზული ზარალიც მიაყენა — ქორწილის სამზადისისთვის მან 30 ათასი რინგიტი დახარჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მედიცინა

## კენჭოვანი დაავადების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

— მიიღეთ მინდვრის ნემსას ჩაი; იგი შეგიძლიათ შემდეგნაირად დაამზადოთ: 40 გრამ წვრილად დაჭრილ აყვავებულ და გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი და, როგორც ჩაი, ისე სვით.

❖ ❖ ❖

— 1-2 ჩაის კოვზ მსხალიჭას დანაყილ ნედლ ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ეს რაოდენობა ერთი დოზაა. მიიღეთ დღეში 2-ჯერ.



❖ ❖ ❖

— 15-20 გრამ ონტკოფას ხმელ ნაყოფს დაასხით 0,5 ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში 2 დღის დოზაა. ან მიირთვით 10-15 ცალი მწიფე ნაყოფი ერთი დღის განმავლობაში.

(ონტკოფას წითელი ბუშტივით გაბერილი ყვავილის ჯამი შხამიანია, ამიტომ არ უნდა შეგვეშალოს და ნაყოფის ნაცვლად ყვავილის ჯამი არ უნდა გამოვიყენოთ).

❖ ❖ ❖

— აიღეთ 200 გრამი საქონლის ხორცი, კარგად გარეცხეთ წყალში, ჩადეთ ჭურჭელში და ხარშეთ ცეცხლზე 2-3 საათი. შემდეგ დაუმატეთ 200 გრამი ბრინჯი და კვლავ ხარშეთ ბრინჯით მზადყოფნამდე. მიღებულ ფაფაში ჩაყარეთ მარილი გემოვნებით, გაყავით ორ ნაწილად. მიირთვით საკვების მიღებისას სადილზე და ვახშმად.

❖ ❖ ❖

— 200 გრამი ცერცვი (უმჯობესია ახალი მოსავლის) მოხარშეთ, გააცივეთ შემდეგ გაასუფთავეთ კანისგან, მოათავსეთ ისევ ჭურჭელში, დაუმატეთ 200 გრამი შაქარი და კვლავ ხარშეთ მანამდე, სანამ ცერცვი სულ არ მოიხარშება. მიღებული ფაფა გაყავით ორ ტოლ ნაწილად. მიიღეთ დილით და საღამოს ჭამის წინ.

❖ ❖ ❖

— მზეზე გამხმარი ატმის 3-6 გრამი ყვავილი მოათავსეთ ფინჯანში, დაასხით მდუღარე და დააყენეთ 5-7 წუთი. დალიეთ დილაობით ჩაის ნაცვლად.

❖ ❖ ❖

— საშარდე ბუშტის ანთებისას იყენებენ გამონახარშს შემდეგი ბალახნარევისას: — 2 სუფრის კოვზი ფარსმანდუკი, 1 კოვზი კოთხოჯის ფესურა, 1 კოვზი არყის კვირტები, 2 კოვზი დათვის კენკრის ფოთლები, ყველა ამას კარგად აურევენ ერთმანეთში და ამ ნარევიდან ილებენ 2 სუფრის კოვზს, ასხამენ ორჭიქანახევარ (300 გრამი) წყალს ადუღებენ 5-7 წუთს. გადმოდგამენ და ასე ტოვებენ თავდახურულ ჭურჭეში 30 წუთს, წურავენ და მთელ გამონახარშს ერთ დღეში სვამენ 4 ნაწილად.

❖ ❖ ❖

ხმარობენ ფარსმანდუკის ფხვნილსაც 0,3 გრამი 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. წყლით გამონაწვლილ, შემდეგნაირად აკეთებენ: 20 გრამ 0,5 მმ სიგრძით დაჭრილ ფარსმანდუკის ბალახს ასხამენ ოთახის ტემპერატურის 1 ლიტრ წყალს, ადუღებენ 15 წუთს ნელ ცეცხლზე თავდახურულ ჭურჭელში (სჯობს ემალისებური ან მინის ჭურჭელი) თავდახურულსავე ჭურჭელში ანელებენ 45 წუთის განმავლობაში და წურავენ ილებენ 1 სუფრის კოვზს დღეში 3-4-ჯერ ჭამის შემდეგ:

ან:

— 2 სუფრის კოვზი ფარსმანდუკი, 1 კოვზი მარმუჭი, 2 კოვზი დათვის კენკრის ფოთლები, ან ნარევიდან ილებენ 2 სუფრის კოვზს, ასხამენ 2,5 ჭიქა ცივ წყალს და 5-7 წუთი ადუღებენ. ცეცხლიდან გადმოდგმიდან ნახევარი საათის შემდეგ წურავენ, მთელ ამ გამონახარშს ერთი დღის განმავლობაში სვამენ 4 ნაწილად.

❖ ❖ ❖

— 20-30 გრამ ვირისტერფას ფოთლების და ყვავილების ნარევს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. მიიღეთ 4-6-ჯერ სუფრის კოვზით დღის განმავლობაში.

(მუცლის წყალმანკის მკურნალობისას აკრძალულია საკვებში მარილისა და საზამთროს გამოყენება).

❖ ❖ ❖

აიღეთ 2 სადილის კოვზი გამხმარი და დაქუცმაცებული ოროვანდის ფესვები, დაუმატეთ 0,5 ლიტრი ადუღებული წყალი და 30 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე მოხარშეთ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ 2 საათის განმავლობაში დააყენეთ და გაწურეთ. დალიეთ ნახევარი ჭიქა დღეში 3-4-ჯერ.

❖ ❖ ❖

— ნახევარ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ კოწახურის ქერქს ან ფესვებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს. ეს არის ნახევარი დღის დოზა (ე.ი. დღეში მიიღება 2 ჭიქა).

# თეთრი სახლი ილონ მასკის წინააღმდეგ



მილიარდერმა ილონ მასკმა მსოფლიო კვლავ გააოცა. მან განაცხადა, რომ ებრაელები ხელოვნურად აღვივებენ თეთრკანიანების წინააღმდეგ სიძულვილს.

– ასეთი რასისტული გამოთქმები მიუღებელია! – განაცხადა თეთრმა სახლმა.

# სასამართლომ ტრამპს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა



კოლორადოს შტატის სასამართლომ ტრამპს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება".

– მოსამართლემ თქვა, რომ ტრამპს ბრალი მიუძღვის კაპიტოლიუმის შენობის შტურმის პროვოცირებაში, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს საბაბი არჩევნებში მონაწლეობის აკრძალვაზე, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

# ცხარე ბრძოლებია კუპიანსკთან, ლიმანსა და ბახმუტთან



ავდეევკის გარდა, ცხარე ბრძოლებია კუპიანსკთან, ლიმანის მიმართულებით, ბახმუტთან. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, მტერმა ერთი მეტრითაც კი ვერ წაიწია წინ.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა უკრაინის სამხრეთში. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას ტოკმაკის, მელიტოპოლის, ბერდიჩევის მიმართულებით. უკრაინელები ყოველდღე რამდენიმე დასახლებულ პუნქტს იკავებენ.

მუხედავად ამისა, სწრაფ გარღვევას არ უნდა ველოდოთ. ოკუპანტებმა ძლიერი თავდაცვითი ზღუდეები შექმნეს. უკრაინელები ნელა და მეთოდურად მიიწევენ წინ.

ხერსონის ოლქში უკრაინელთა წინსვლა გრძელდება. ვითარება აქაც იგივეა, რაც ზაპორიჟიეს ოლქში. უკრაინელები მეთოდურად მიიწევენ წინ. ამაოა რუსების ყველა მცდელობა, შეაჩერონ უკრაინელთა წინსვლა. საქმეს ვერც ხერსონსჩინაზე რუსული არმიის ახალი სარდლის ტეპლინსკის დანიშვნამ უშველა. ოკუპანტებს შეუძლიათ უკრაინელთა წინსვლის შენელება, მაგრამ არა შეჩერება.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.422 (+7); ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.141; არტილერია – 7.726; თვითმფრინავები – 323; განადგურებულია – 317.380 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# თვითმფრინავმა ამოუცნობ ობიექტს 20 მეტრში ჩაუფრინა



ბრიტანულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია ინციდენტის შესახებ, რომელიც 2022 წელს ლონდონის სტანსტედის აეროპორტის რაიონში მოხდა.

ესექსის საგრაფოს პოლიციის მონაცემებით, ლონდონის სტანსტედის აეროპორტიდან აფრენიდან მცირე ხანში, რუაიეირის ავიაკომპანიის პილოტმა 1,2 კილომეტრის სიმაღლეზე შავი ფერის ამოუცნობი ობიექტი შენიშნა. მას თვითმფრინავმა 20 მეტრში საათში 370 კილომეტრი სიჩქარით ჩაუფრინა.

პოლიციაში ივარაუდეს, რომ შესაძლოა ის უპილოტო საფრენი აპარატი ყოფილიყო.

– თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დრონების სათვალთვალო მოწყობილობას ის არ დაუფიქსირებია, – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნული ინფორმაცია და საბუთები ბრიტანეთის ინფორმაციის თავისუფლების კანონის ფარგლებში გამოქვეყნდა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს, მათ ხელთ არსებული საბუთები, საზოგადოების წარმომადგენლის მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოადგინონ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს გავრცელდა ინფორმაცია ლონდონის სტანსტედის აეროპორტის მიდამოებში კიდევ ერთი ამოუცნობი მფრინავი ობიექტის თაობაზე. ამჯერად მან სამ თვითმფრინავს ჩაუფრინა. ორ შემთხვევაში თვითმფრინავებთან შეჯახების სისტემებმა ობიექტი დედამიწიდან 150 მეტრის სიმაღლეზე დააფიქსირეს. იმ დროს ორივე თვითმფრინავი აეროპორტში ეშვებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ თვითმფრინავების პილოტებს ობიექტი არ შეუნიშნავთ.

# სამსახურიდან გაგდებულმა მამაკაცმა თავისი კომპანიის ოფისი გაძარცვა

ინდოეთში, მამაკაცმა, რომელიც ელექტრონული კომერციული კომპანიიდან დაითხოვეს, მისი ოფისი გაძარცვა.

მამაკაცი სახელად სუმიტი სამსახურიდან ოქტომბერში დაითხოვეს. ამით უკმაყოფილო ინდოელმა, ორ თანამზრახველ, ანილთან და სანდიპთან ერთად გადაწყვიტა, ხარიანის შტატის ქალაქ სონიპატში მდებარე კომპანიის ოფისი გაეძარცვა. 16 ოქტომბერს სათამაშო პისტოლეტებითა და ნაჯახით შეიარაღებული მამაკაცები შენობაში შეიჭრნენ და ადგილზე მყოფებს მუქარის ძალით 2,1 მილიონი რუპია წაართვეს.

აღსანიშნავია, რომ სუმიტმა დანაშაული მთავარი ინდური და ინდუისტური დღესასწაულის დივალის წინ ჩაიდინა. მან იცოდა, რომ ამ დროს კომპანიის ოფისში არსებული თანხის ოდენობა იზრდებოდა.

ძარცვიდან ერთი თვის თავზე პოლიციამ სუმიტისა და ანილის მიგნება და დაპატიმრება მოახერხა. დამნაშავეებისგან ამოიღეს ავტომობილი, სათამაშო პისტოლეტი, ნაჯახი და 630 ათასი რუპია. ამ დროისთვის პოლიცია სუმიტის მეორე თანამზრახველს ეძებს და ასევე არკვევს, თუ სადაა კომპანიის ოფისიდან გატაცებული დანარჩენი თანხა.

# „მის სამყარო" გამოვლინდა



ნიკარაგუელი შეინის პალასიოსი სილამაზის კონკურს „მის სამყაროს" გამარჯვებულად გამოცხადდა.

23 წლის „მისის ნიკარაგუას" გვირგვინი სალვადორში გამართულ კონკურსის ფინალში გადაეცა.

ვიცე-მისი ტაილანდის წარმომადგენელი 27 წლის ანტონია პორსილდი გახდა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში გამარჯვებისთვის 84 გოგონა იბრძოდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. წლევანდელი კონკურსი ადრინდელთან შედარებით განსხვავებული იყო. მისი მონაწილეების მიმართ მოთხოვნები შერბილდა. ამიტომ წელს პირველად კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ისეთი გოგონებიც იქნა დაშვებული, რომლებსაც უკვე ჰყავთ შვილები და ასევე პლიუს-საიზ მოდელიც.

ალსანიშნავია, რომ პალასიოსი არა მხოლოდ პირველი ნიკარაგუელი, არამედ მთლიანად ცენტრალური ამერიკის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც „მის სამყაროს" კონკურსი მოიგო. ის ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში დაიბადა და გაიზარდა.

გოგონას ცენტრალურამერიკული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული „მასობრივი კომუნიკაციების" სპეციალობით. უნივერსიტეტის გოგონათა ფრენბულთელთა გუნდში თამაშობდა. ის ტელეწამყვანად და მოდელად მუშაობს და მისივე აღიარებით, ყველაზე მეტად ვიდეოს გადაღება, რედაქტირება და პროდიუსერობა მოსწონს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# 18-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონია

## საქართველო-პორტუგალია 19:3



2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს 18-წლამდე ნაკრებმა პორტუგალია 19:3 დაამარცხა და ტიტული ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა.

საქართველოსთვის ეს ზედიზედ მერვე ფინალი იყო, 2018 წელს საფრანგეთთან 8:3 გამარჯვების შემდეგ კი, ჩვენს 18-წლამდელებს ტურნირზე თამაში არ წაუგიათ. პორტუგალიას ფინალში ზედიზედ მესამედ ვერკინეთ და, წინა შემთხვევების მსგავსად, გამარჯვება მოვიპოვეთ.

წინა წლებთან შედარებით წელს სხვაობა მცირე იყო, მაგრამ მატჩის მსვლელობისას გამარჯვებულის ვინაობა ეჭვქვეშ ერთხელაც არ დამდგარა.

ზურაბ ამონაშვილის შეგირდები მთელი 70 წუთის განმავლობაში დომინირებდნენ და მეტოქეს ყველა კომპონენტში აღემატებოდნენ.

ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა. საქართველომ ბურთზე კონტროლი დაამყარა, ფორვარდებმა 22-ში ფაზები აკინძეს, მერე ოვალი ხაზზე გავიდა და ტატო ბურთიკაშვილი ლელოში შევიდა. რთული პოზიციის მიუხედავად, გიგი სირბილაძის გარდასახვა ზუსტი იყო. ტაიმის შუაში ფაზები კიდევ ერთხელ ავკინძეთ, პორტუგალიის დაცვა ამჯერადაც გატყდა და გუნდის კაპიტანმა ანდრო დვალმა მეორე ლელო გაიტანა. სირბილაძე ამჯერადაც ზუსტი იყო – 14:0.

ამის შემდეგ ინიციატივას პორტუგალია დაეუფლა, მაგრამ „უმცროსი ბორჯღალოსნები" დაცვაში კარგად ირჯებოდნენ და მეორე ტაიმის მე-10 წუთზე მეტოქემ ჯარიმის კარში დარტყმა გადაწყვიტა. ამის შემდეგ ორივე გუნდს თითო ჯარიმა გაუცუდდა. მერე საქართველომ საკუთარი 22-იდან კონტრშეტევა წამოიწყო, რომელიც მეტოქემ სახიფათო ბოჭვით შეაჩერა და სინბინით დაისაჯა.

დასკვნითმა წუთებმა უმცროსი ბორჯღალოსნების შეტევებში ჩაიარა. მიხეილ შიოშვილმა ოთხ მცველს გადაუარა, მაგრამ ლელოში ბურთი ჩაიხურა. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე, მორკინალებმა ფაზები მორიგ ჯერზე აკინძეს, გიორგი სპანდერაშვილმა რაქიდან თავად შეუტია და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 19:3.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

18 ნოემბერი
ფეხბურთი

**ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| სომხეთი-უელსი | 1:1 |
| ბელარუსი-ანდორა | 1:0 |
| ლატვია-ხორვატია | 0:2 |
| საფრანგეთი-გიბრალტარი | 14:0 |
| ისრაელი-რუმინეთი | 1:2 |
| ნიდერლანდები-ირლანდია | 1:0 |
| შვეიცარია-კოსოვო | 1:1 |

**მჩ 2026. შესარჩევი ეტაპი**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ს.აფრიკა-ბენინი | 2:1 |
| ნიგერი-ტანზანია | 0:1 |
| სენეგალი-ს.სუდანი | 4:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| გერმანია-თურქეთი | 2:3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-ხიხონი | 0:0 |
| ამორებიეტა-ტენერიფე | 2:0 |
| სარაგოსა-უესკა | 0:2 |
| ესპანიოლი-ელჩე | 2:0 |

**ევრო 2025. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ინგლისი | 0:3 |

კალეიდოსკოპი

# ჯულია ფოქსმა საახალწლო გადაღებებისთვის გამჭვირვალე ბიუსჰალტერი მოირგო



ამერიკელმა მოდელმა და მსახიობმა ჯულია ფოქსმა მოდური პლატფორმა Ssense-თვის ეროტიული ფოტოსურათები გადაიღო. ამ ყოველივეს ამსახველი პუბლიკაცია ინსტაგრამში პლატფორმის გვერდზე გამოქვეყნდა.

საახალწლო გადაღებებისთვის 33 წლის მანეკენმა გამჭვირვალე ბიუსჰალტერი და შავი ფერის დიდი ბაფთით დამშვენებული ქვედაბოლო მოირგო. ასევე მას ეცვა გრძელი იდაყვებამდე მკლავებიანი ბადისებრი ხელთათმანები და მასზე გირლიანდი ჰქონდა დახვეული.

ფოქსის თაყვანისმცემლები მისმა ფოტოსურათმა აღაფრთოვანა და ეს ყოველივე საკუთარ კომენტარებში ასახეს.

– ჯულია – უძვირფასესი საჩუქარი იქნება ნაძვისხესთან, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– შთამბეჭდავი კადრია, – აღნიშნა მეორემ.

– ის ნამდვილად მეორე მერლინ მონროა, – აღნიშნა აღფრთოვანებულმა კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ჩვენი საახალწლო სასურველი საჩუქარი – ჯულია ფოქსი, – დაწერა მეოთხემ.


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლევან მჭედლიძემ კარიერა დაასრულა

საქართველო-შოტლანდიის მატჩისას ფეხბურთიდან ლევან მჭედლიძე გააცილეს. 33 წლის ფეხბურთელი ტრავმებმა თითქმის მთელი კარიერის მანძილზე გააწამა და ისე ვერ ითამაშა, როგორსაც მისგან მოელოდნენ. თუმცა, სერია ა-სა და სერია ბ-ში 10 წელზე მეტი ითამაშა.

ქართველი ფეხბურთელის კარიერის დასრულებას იტალიური მედიაც გამოეხმაურა.

„ხვიჩა კვარაცხელიას ეფექტი სერია ა-ზე, უბრალოდ, დამანგრეველი იყო. ახალგაზრდა ფეხბურთელი ნაპოლიში პირველივე წელს უმოკლეს დროში გახდა გუნდის მთავარი ფიგურა. თუმცა, კვარაცხელიამდე იტალიაში კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი იყო, სრულიად განსხვავებული შედეგებით. 15 წლის წინ ჩვენი ჩემპიონატი ლევან მჭედლიძეს შეხვდა.

ქართველი 16 წლის იყო, როდესაც ემპოლიმ მასზე ფსონი დადო და ახალგაზრდულ გუნდში მიიღო. ეტორე დონატის პრიმავერას გუნდში მხოლოდ ერთი წელი ჰქონდა გატარებული, როცა მთავარ გუნდს დაემატა, რომელსაც იმ დროს ჯიჯი კანი წვრთნიდა, მაგრამ შესაძლებლობების წარმოსაჩენად ნამდვილად ცოტა დრო ჰქონდა. 2008 წლის ზაფხულში მჭედლიძე ტოვებს ემპოლის, რომელმაც ის იტალიაში ჩამოიყვანა და პალერმოში გადავიდა იჯარით, რომლის ღირებულება 1.5 მილიონი ევრო იყო, გამოსყიდვის ვარიანტი კი 6 მილიონ ევროდ ფასობდა.

მისი დებიუტი სერია ა-ში 2008 წლის 24 სექტემბერს, ნაპოლისთან წაგებულ მატჩში შედგა, მაგრამ 10 დღის შემდეგ მისი იტალიური თავგადასავლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა მოხდა: ტურინში, „ოლიმპიკოზე“ გამართულ მატჩში იუვენტუსის წინააღმდეგ გოლი გაიტანა და „როზანეროს“ სენსაციური გამარჯვება მოაპოვებინა. მისთვის ეს იყო სადებიუტო გოლი სერია ა-ში.

აი, რას ამბობდა, ამ მატჩის შემდეგ ლევან მჭედლიძე:

– ძალიან ბედნიერი და აღტაცებული ვარ. ბედნიერი ვარ პირველი გოლით და ამ მნიშვნელოვანი მოგებით, რადგან ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დავამარცხეთ. მადლობა პრეზიდენტს თბილი სიტყვებისთვის და მადლობა, რომ პალერმოში მომიყვანეს. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში მოვუმატებ. მინდა, საჯარო მადლობა გადავუხადო მწვრთნელსა და ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ, როდესაც მოედანზე გავედი. მათი წყალობით თამაშში ეტაპობრივად ჩავერთე.

სერია ა-ში სადებიუტო გოლი იუვესა და ბუფონის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, შესანიშნავი სიუჟეტია, რომელიც საოცრებებს გვპირდება, მაგრამ 1990 წელს დაბადებულ ფეხბურთელსა და პალერმოს შორის იდილია მალე დასრულდება. პირველ სეზონში ტურინში გოლი მისთვის ერთადერთი იყო და მხოლოდ რამდენიმე მატჩში ითამაშა. სეზონის ბოლოს პალერმომ ემპოლიდან არ გამოისყიდა, მაგრამ იპოვა სწორი არგუმენტები, რათა ტოსკანური კლუბი დაერწმუნებინა, იჯარის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებაზე.

ახლა, როდესაც უკან გახედვა შესაძლებელია, შორსმჭვრეტელი გადაწყვეტილება იყო. 2009-10 წლების სეზონში თავიდან მჭედლიძეს ვალტერ ძენგას ხელმძღვანელობით სათადარიგო სკამზე ყოფნა მაინც უწევდა, მაგრამ ინტერის ყოფილი მეკარე მალევე გაათავისუფლეს, მისი ადგილი დელიო როსიმ დაიკავა და ყველაფერი გაფუჭდა. შემდეგ შობაც მოვიდა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა. საშობაო შესვენებიდან დაბრუნებისთანავე პალერმოს ყველა ფეხბურთელი შეიკრიბა სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებლად. ყველა, ერთის გარდა – მჭედლიძის.

გუნდში მისთვის ცუდი სიტუაციით იმედგაცრუებული ქართველი თავდამსხმელი პალერმოში არ გამოცხადდა შვებულების შემდეგ და ოჯახთან ერთად საქართველოში დარჩა, რასაც სპორტული დირექტორის, ვალტერ საბატინის მრისხანე რეაქცია მოჰყვა:

– მჭედლიძე არ იმსახურებს პალერმოს და ამ ეტაპზე ჩვენი ტექნიკური პროექტის ნაწილი



ალარ არის. მისი საქციელი სულელური და მიუღებელია, რის გამოც ის აღარ გვაინტერესებს. ბიჭმა გადაწყვიტა, რომ კლუბის მითითებებისთვის პატივი არ ეცა და შვებულების შემდეგ შინ დარჩა. ჯერჯერობით, არც კი ვიცით, როდის აპირებს დაბრუნებას. შესაძლოა, ჩემს ცხოვრებაში, ადამიანური და ტექნიკური თვალსაზრისით, მჭედლიძე ყველაზე დიდი წარუმატებლობაა. მჯეროდა, რომ ეს ბიჭი ფეხბურთში უმაღლეს დონეებს მიაღწევდა. სამაგიეროდ, ახლა ვიცი, რომ ვერაფერს მიაღწევს.

სრული განხეთქილება. მჭედლიძემ იმ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა და აპრილში პალერმოც დატოვა. ამრიგად, ახლა ჯერი ემპოლიზე იყო, რომელმაც კიდევ ერთი შანსი მისცა. საწყისი სამი სეზონის განმავლობაში თამაში რეგულარულად უწევდა, მაგრამ გოლების გატანა ძალიან უჭირდა: ემპოლიში გატარებულ პირველ სამ წელიწადში მხოლოდ 5 გოლი გაიტანა. ამ გოლებში იყო 2012 წლის ივნისში ვიჩენცასთან გოლი, რითაც ემპოლი სერია ა-დან გავარდნას გადაურჩა.

2013-14 წლების სეზონში, როგორც იქნა, ემპოლის სერია ა-ში დაბრუნების დრო დადგა, ხოლო თასის ჩათვლით 4 გოლი გაიტანა. 2014-15 წლების სეზონში სერია ა-ში ბრუნდება და პირველივე მცდელობისას თავისი პირადი რეკორდი დაამყარა, რადგან იტალიის მთავარ ლიგაში 25 მატჩში 4 გოლი გაიტანა და ემპოლის ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. იმ სეზონის ბოლო ტურში „სან სიროზე“ ინტერთან დუბლიც შეასრულა, მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა (3:4).

მომდევნო სეზონი ნამდვილი კოშმარი იყო: ბარძაყის სახსრის პრობლემის გამო იძულებული გახდა, 4 თვე ლაზარეთში გაეტარებინა – სექტემბრიდან იანვრამდე. ამან მის თამაშზე აშკარად იმოქმედა და სეზონი 13 მატჩით, საიდანაც მხოლოდ ორჯერ იყო ძირითადში და უგოლოდ დაასრულა.

2016 წლის 17 დეკემბერს, კალიარის წინააღმდეგ დუბლით წელიწადნახევრიანი უგოლო სერია შეწყვიტა და ეს იყო მისი საუკეთესო სეზონი სერია ა-ში, რომელიც 15 მატჩით და 6 გოლით დაასრულა. ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი „სან სიროზე“ მილანს გაუტანა, მაგრამ იმავე მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა მაშინ, როდესაც ძალიან კარგ ფორმაში იყო. მის გარეშე ემპოლიმ სეზონის ბოლო ჩააგდო და სერია ბ-ში გავარდა, მიუხედავად იმისა, რომ მჭედლიძესთან ერთად გავარდნის საფრთხე არ ემუქრებოდა.

სწორედ „როსონერის“ წინააღმდეგ გაიტანა ბოლო იტალიური გოლი, მომდევნო სეზონში სერია ბ-ში მუხლის ტრავმის გამო მოედანზე საერთოდ ვერ გავიდა, რამაც მას კარიერის დასრულების შესახებ ფიქრი დააწყებინა.

შემდეგ იყო სერია ა-ში კიდევ 11 თამაში, 2018-19 წლების სეზონში და დამშვიდობება ემპოლისთან, კასტელანის ჩრდილში გატარებული 9 წლის შემდეგ. თითქმის ათწლეული, რომელიც რამდენიმე გამონათებითა და ბევრი ჩრდილით ამშვენებს თავდამსხმელის გზას, რომელმაც თითქმის ვერ გაამართლა მასზე გაცემული უზარმაზარი იმედები.

გეტყვით, რომ მჭედლიძე ბოლოს ქუთაისის ტორპედოში თამაშობდა. საქართველოს ნაკრებში მჭედლიძეს დებიუტი 2007 წელს კატარის წინააღმდეგ ჰქონდა. სულ კი, 31 მატჩში ორი გოლი გაიტანა.

# მამუკა ჯუღელი: ხვიჩას კონტრაქტში ცვლილებები იქნება

ხვიჩა კვარაცხელიას აგენტმა მამუკა ჯუღელმა საკუთარ კლიენტსა და გიორგი მიქაუტაძეზე ისაუბრა. ჯუღელის თქმით, ხვიჩა კიდევ ბევრს მიაღწევს, ხოლო მიქაუტაძისთვის საუკეთესო იტალიური ლიგა იქნებოდა.

**მამუკა ჯუღელი:**

– კვარაცხელიას შეტევაში თამაში ყველა პოზიციაზე შეუძლია, ხვიჩასა და გიორგი ჩაკვეტაძის დუეტი ნებისმიერ ევროპულ ნაკრებს დაამშვენებდა.

რაც ხვიჩამ ნაპოლიში პირველ სეზონში გააკეთა, მგონი ამას მხოლოდ თვითონ ელოდა. ერთად რომ ვიყავით ნეაპოლში, ხვიჩამ მითხრა, აი, განახებ ამ ერთ წელიწადში მე აქ რას გავაკეთებო.

რაც შეეხება აურელიო დე ლაურენტისს, ძალიან კარგი ადამიანია, ჩვენ უამრავი კარგი გაგვიკეთა, რასაც გვპირდება, ყველაფერს ასრულებს. ეს ისეთი კაცია, არავის არაფერს დაუკარგავს, ხვიჩა უახლოეს მომავალში რასაც იმსახურებს, აუცილებლად მიიღებს. გასაგებია, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელია და მეტი ეკუთვნის, იმ მეტსაც უახლოეს მომავალში მიიღებს.

ოჯახი კმაყოფილია, ხვიჩაც კმაყოფილია... ვსარგებლობ შემთხვევით და ვიძახი, რომ უახლოეს მომავალში მის კონტრაქტში ცვლილებები იქნება.

ხვიჩა წელს მაგარ ფორმაშია, ნაპოლიში ძალიან მოუმატა და წინა სეზონთან შედარებით, უკეთესად ასპარეზობს, ამაში ფეხბურთელის მამა ბადრი კვარაცხელიაც დამეთანხმა. უფრო დაღვინებულია და როგორც ვარსკვლავს შეეფერება, ისე თამაშობს, ზედმეტს არ აკეთებს.

რუდი გარსიაზე ვერაფერს ვიტყვი, ბავშვმაც იცის, რომ ნაპოლიმ ემპოლისთან არ უნდა წააგოს. დე ლაურენტისს მცოდნე ფეხბურთის სელექციონერი ჰყავს და ამ კლუბში უამრავი განათლებული ხალხი მუშაობს.

მიქაუტაძეზე ჩემ აზრს გეტყვით, მას ძალიან კარგი აგენტი ჰყავს და აიაქსთან შესანიშნავი გარიგება დადეს. გიორგი სერიოზული თავდამსხმელია, საფრანგეთში ამდენი გოლის გატანა ადვილი არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, სერია ა-ში მოხვედრა მისთვის უკეთესი იქნებოდა.

# ქართული ფინალი პოტსდამში

გერმანიის ქალაქ პოტსდამში 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც ხუთი მედალი მოიპოვა. ბოლოს კი, საქმე სულაც საქმე ქართულ ფინალამდეც მივიდა.



ქართული ფინალი მძიმე წონაში შედგა – საბა ინანეიშვილმა ირაკლი დემეტრაშვილთან წმინდა გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დახურა. მანამდე ჩემპიონობა მოიპოვა ზაურ დვალაშვილმა (81), რომელმაც ფინალამდე ოთხი შეხვედრა მოიგო, ოქროს მედლისთვის ბრძოლაში კი, ბელგიელ იარნე დიუკი იპონით დაამარცხა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კოტე კაპანაძემ (73), ვინაც გადამწყვეტ შეხვედრაში უკრაინელ ევჰენი ონჩარკოს იპონით აჯობა.

ოქროს მედალთან ახლოს იყო გოგონათა ნაკრების წევრი ნინო ლოლაძე (57 კგ), რომელმაც ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ საჩემპიონო შეხვედრაში ნიდერლანდელ ელინ ჰენინგერთან დამარცხდა და ვერცხლის მედალი მიიღო. საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლით 37 ქვეყანას შორის გოგონათა და ვაჟთა საერთო ჩათვლაში გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, ვაჟთა შორის კი – პირველი.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# შავი ლომი ნახევარფინალში პირველი ადგილით გავიდა

**თელავივ ჰითი (ისრაელი)-შავი ლომი (საქართველო) 27:29**



შავმა ლომმა ისრაელის თელავივ ჰითი ლიმასოლში 29:27 დაამარცხა და რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევაფინალში პირველი ადგილით გავიდა.

ჯგუფის ლიდერები და შარშანდელი ფინალისტები ერთმანეთში უკეთესს არკვევდნენ. კვიპროსში თამაში ძლიერი წვიმის ფონზე წარიმართა, რამაც მსვლელობას თავისი დაღი დაასვა და ერთი ხანობა მატჩის განახლება კითხვის ნიშნის ქვეშაც კი დადგა.

შავმა ლომმა ძალისმიერ თამაშში უპირატესობა მოიპოვა და ლუკა ივანიშვილმა ლელოთი ანგარიში გახსნა. ლუკა მატკავამ გარდასახვის შემდეგ ჯარიმაც გაიტანა, რის შემდეგაც სტუმრების დომინირება კიდევ უფრო გამოიკვეთა. შალვა აფციაურმა და აკა ტაბუცაძემ ლელოები გაიტანეს. მატკავას გარდასახვები გაუცუდდა, სამაგიეროდ ჯარიმა გაიტანა, რასაც მასპინძლებმა ორი ჯარიმით უპასუხეს და ტაიმი 23:6 დასრულდა.

შესვენების შემდეგ წვიმამ თამაშის განახლება ისევ სათუო გახადა. საბოლოოდ შეხვედრა განახლდა, ჰითი გააქტიურდა და შავ ლომს დროის უმეტესი წილის გატარება დაცვაში მოუწია, რაც ჩელენჯ თასის თამაშების წინ კარგი რეპეტიციაა. კონკრეტულად ამ თამაშში მატკავამ კიდევ ორი ჯარიმა გაიტანა, რითაც მებრძოლ ჰითს თამაშის გადარჩენის შესაძლებლობა არ მისცა და შეხვედრა 29:27 დასრულდა.

შავი ლომი თასის ნახევარფინალში პირველი ადგილით გავიდა და ფლეი ოფის შეხვედრას 2 ან 3 დეკემბერს საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გამართავს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კლდის ვეფხვად წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. რეგიონი კახეთში; 7. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ძველად; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. ძველებური სავაჭრო-სასადილო; 15. ხორბლის ქართული ჯიში; 17. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 20. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

**თარაზულად:** 5. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 6. მადრიდის „ატლანტიკოს“ მწვრთნელი; 9. უმცროსი მეთაური, კაპიტნის თანაშემწე გემზე; 10. უბანი სოხუმში; 11. ირანსა და შუა აზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 13. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. ბატონის მიერ ეკლესიის მფარველობაში გადაცემული ყმა-გლეხი ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 19. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 21. სპეციალური საბალეტო ფეხსაცმელი; 22. მეტროს სადგური თბილისში; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაბერნე; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სტუპორი; 5. ჭედილა; 9. ტაიმსი; 11. დიადემა; 12. ხერესი; 14. პრომეთე; 18. არესი; 19. გუამი.

**თარაზულად:** 4. სირაჯი; 5. ჭკუასელი; 6. ჰიმნი; 7. კურსები; 8. პერესი; 10. მდადი; 13. ნეპალი; 15. რუზინე; 16. მადა; 17. რიწა; 20. მაცუბი; 21. დინასი; 22. მესხეთი; 23. მოხერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დნეპრი; 2. ქართუ; 3. დოკი; 5. ფაზისი; 6. პრადა; 7. დუმბაძე; 11. ნაგანი; 13. სპირალი; 14. იანძი; 15. ზოსტერა; 16. ჩხაველი; 17. ბაკარა; 19. ელესა; 20. ტოტო.

**თარაზულად:** 1. დუქარდი; 4. ბლეფი; 8. კრუზი; 9. ზღვა; 11. პითონი; 12. აბატისა; 14. ირაო; 15. ზელენსკი; 16. ჩანგი; 18. მატიე; 21. კუკია; 22. რუსტიკა; 23. სორბონა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**20 ნოემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6985

ევრო — 2.9327

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3545

100 რუსული რუბლი — 3.0296

**ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვინიციუსი 2 თვეზე მეტს გამოტოვებს

მადრიდის რეალის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ვინიციუსმა კოლუმბიასთან შეხვედრაში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და როგორც აღმოჩნდა, მას 2 თვეზე მეტი მოუწევს უქმობა, რაც რეალისთვის სერიოზული დარტყმაა.

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ვინიციუსს, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირვებოდა, მაგრამ ქირურგიული ჩარევა საჭირო არ აღმოჩნდა. ვინიციუსის გარდა, ტრავმა მიიღო რეალის ფრანგმა ნახევარმცველმა ედუარდო კამავინგამ, რომელიც ასევე 2 თვეს გამოტოვებს.

## კილიან მბაპე: „საფრანგეთის ნაკრები ყველაზე ძლიერია“



საფრანგეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე გიბრალტარი დაამარცხა 14:0 და ამ მხრივ რეკორდიც დაამყარა. მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა კილიან მბაპემ თქვა, რომ ისინი მსოფლიოში საუკეთესოები არიან და ნებისმიერი ნაკრების დამარცხება შეუძლიათ:

– დღეს კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ ჩვენი ძალა, თუმცა, მეტოქე ძლიერი არ იყო. საფრანგეთი ძალიან ძლიერია და ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება, ყოველთვის მხოლოდ პირველი ადგილი დაგვაკმაყოფილებს.



## ჯუდ ბელინგემი: „სათამაშოდ მზად ვარ“

მადრიდის რეალის ვარსკვლავმა ჯუდ ბელინგემმა თქვა, რომ ის სათამაშოდ მზად არის და მან ტრავმა ბოლომდე მოიშუშა. ბელინგემის აზრით, ტრავმა მის სათამაშო ფორმაზე ცუდად არ იმოქმედებს:

– მინდა, მოედანზე მალე დავბრუნდე და უკვე ვგრძნობ, რომ ამისთვის მზად ვარ, თუმცა, არ მინდა ვიჩქარო. მოედანზე მაშინ დავბრუნდები, როდესაც ექიმები ამის უფლებას მომცემენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## შინდისის ბიჭებს ფილმი მიუძღვნეს



საქართველოსთვის თავგანწირულ შინდისის ბიჭებს ფილმი მიუძღვნეს, რომლის ნახვაც წლის ბოლოს იქნება შესაძლებელი.

ინფორმაცია „თბილისის ციფრულმა სივრცემ“ გაავრცელა:

– გვინდა გაგიზიაროთ ძალიან კარგი ახალი ამბავი – დასრულდა ჩვენი ახალი ფილმის გადაღებები. ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“. ფილმი ეძღვნება შინდისის ბიჭებს. გადაღებები მიმდინარეობდა თბილისსა და ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე. ვისაც ნანახი გაქვთ ჩვენი „ბაზალეთის ტბა“, მიგვიხვდებით სულისკვეთებასა და მოსალოდნელ ემოციებს. ჩვენი ყველაზე პატარა მსახიობი ნიტა 6 წლის არის, ხოლო ყველაზე ხანდაზმული, ბატონი იოსებ გოგიჩაიშვილი, 82 წლის გახლავთ. ფილმის ნახვა შესაძლებელი იქნება ჩვენთან „ქართულ ოთახში“ 2023 წლის ბოლოს.

## თემურ ჩხეიძის 80 წლის იუბილე თეატრალურ უნივერსიტეტში აღინიშნება

20 ნოემბერს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში რეჟისორ თემურ ჩხეიძის 80 წლის იუბილე უნიშნება.

ღონისძიება დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრში გაიმართება.

რეჟისორის საიუბილეო საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ლელა წურწუმიას აკრიტიკებენ



მომღერალ ლელა წურწუმიას ახალ კიდეოკლიპში თამამი კოსტიუმების გამო აკრიტიკებენ. 54 წლის მომღერალს საზოგადოების ნაწილმა ზედმეტი სითამამე დაუწუნა და ამ ასაკის ქალისთვის შეუფერებელ ქმედებად მიიჩნია.

**გიორგი მასხულია, დიზაინერი:**

– წურწუმია რადგან ეგეთ ვიდზე იხილეთ, გააქილიკეთ და ვილაც უცხოელი სთარები ცაში აგყავთ? ეგ სთარებიც რომ შხაპის ქვეშ დადგებიან, წყალს არ მიაწვდი, ისეთები არიან, ყველამ იცით, ლელა როგორია ახლოდან და მის ყველა კონცერტზე, რა ვიცი, კი გარბიხართ... ცოტა დაფასება ვიცოდეთ ჩვენის რა! აბა, ის არის კარგი, კლიპებს რომ ისევ ძველი ნაჩოსებითა და ფუფალკა კაბებით იღებენ, მაშა რასპუტინას ვერსია მოგწონთ, თუ თანამედროვე ლელა. რა უბედურება გჭირთ, ხალხნო, მიკვირს ევროპის კანდიდატებიც რომ გავხდით.

## ლიზა ბათიაშვილი და გიორგი გიგაშვილი პარიზში კონცერტს გამართავენ

მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი და ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტი გიორგი გიგაშვილი პარიზში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.



ბრიუსელის შემდეგ, ქართველი მუსიკოსები საფრანგეთის დედაქალაქს ეწვევიან და 24 ნოემბერს კლასიკური მუსიკის მოყვარულების წინაშე განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამით წარსდგებიან.

ლიზა ბათიაშვილისა და გიორგი გიგაშვილის პარიზულ კონცერტზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## „მოქალაქე წმინდანი“ ამერიკაში აჩვენეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2024 წელს კინოაკადემიის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს საკონკურსო ფილმის „მოქალაქე წმინდანის“ ჩვენება გაიმართა.

ფილმის ჩვენებას რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილთან და პროდიუსერ ლაშა ხალვაშთან ერთად, რომელიც „სოჰო ჰაუზში“ შედგა, ამერიკის კინოაკადემიის წევრებთან ერთად საქართველოდან ჩასული დელეგაციაც ესწრებოდა.

ფილმის ჩვენების შემდეგ, მიღება და დისკუსია გაიმართა, რომელსაც დევიდ ვოლაჩინსკი უძღვებოდა.

ფილმი გაცოცხლებული წმინდანისა და მაღაროელების შესახებ მოგვითხრობს. მოქმედება მაღაროელების ქალაქში ხდება, რომლის მაცხოვრებლებსაც ჰყავთ წმინდანი და მისი ქანდაკება ქალაქის მთავარ მოედანზე დგას. ერთ დღესაც წმინდანი გაცოცხლდება და მოქალაქეებს შორის დაიდებს ბინას, მაგრამ ეს უჩვეულო მოვლენა მოქალაქეებს აწუხებთ და არ იციან, როგორ მოიქცნენ.

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა შესარჩევი კონკურსით ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 2024 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს საკონკურსო ფილმი რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილის „მოქალაქე წმინდანი“ გამოავლინა. ფილმმა შესარჩევ კონკურსში კომისიის ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა – 12-იდან 8 ხმა. „მოქალაქე წმინდანი“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით არის გადაღებული.

## მომღერალი კოსტა სანიკიძე დაჭრეს



მომღერალი და პოეტი კოსტა სანიკიძე დაჭრეს. რეალური შოუ „პრაიმ ჰაუსის“ მეორე სეზონის მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ინფორმაცია „პრაიმ ჰაუსის“ გამარჯვებულმა გურამ შეროზიამ გაავრცელა:

– არ მჯერა და არ მინდა დავიჯერო, რომ ამ დროში, დღისით, თან დედის თვალწინ, ასეთი რამეები ხდება! ახლაც ვერ ვიაზრებ და იმედია, ძალიან მალე დაუბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას და დამნაშავე სამაგალითოდ დაისჯება!

მალე გამოჯანმრთელება და ბევრი წარმატება კოსტას!

მერსი სულხანიშვილი, „პრაიმ ჰაუსის“ მონაწილე:

– კოსტა „პრაიმ ჰაუსში“ გავიცანი. იმაზე მაგარი ნიჭიერი და კარგი ბიჭია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და მთავარი ის ვიცი, რომ ეს ბიჭი კარგად უნდა იყოს და იქნება კიდეც. დამნაშავე კი აუცილებლად კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ესპანელმა პოპ-ვარსკვლავმა, როსალიამ, დემნას ახალი კაბით იპოზიორა




ესპანელი პოპ-ვარსკვლავი როსალია ლათინური გრემის დაჯილდოების წითელ ხალიჩაზე „ბალენსიაგას“ ახალი კოლექციიდან შერჩეული, ერთ-ერთი კაბით გამოჩნდა და ფოტოგრაფების წინაშეც იპოზიორა.

როსალიამ შავი ორიგინალური კაბა შეარჩია, რომელიც დემნამ პარიზის მოდის კვირეულზე პირველ ოქტომბერს წარადგინა.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8; იტალია-შვეიცარიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 14. გზაგამტარი ჩქაროსნულ ავტობანზე; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ბრიტანული ტაქსი; 20. ქალაქი ჩეხეთში.

**თარაზულად:** 5. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელი; 6. შვედეთის დედაქალაქი; 9. ტბა შვეიცარია-იტალიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. ძველბერძენი დრამატურგი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

